# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.





დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 21 ივლისი, 2010 წელი.

№135 (6501)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




## მეცნიერებას განაჩენი გამოუტანეს: მან არსებობა უნდა შეწყვიტოს! ③



## რა უფრო სასიკეთოა აზერბაიჯანელებთან დიალოგის დროს - დავით-გარეჯის გაბუნდოვანებული თემა თუ ნავთობის სექტორი? ④



## რა კარგია სიცილი, რომ არ გვეტირებოდეს, ⑦

ანუ „გამჭვირვალე“ ხელისუფლება „მხიარული“ სტატისტიკის ფონზე

## ურეკის პლაჟი ყველაზე სუფთაა, მაგრამ... ②

## ზაფხულის სეზონი ბინის ქურდების პროფესიული სრულყოფის დროა ⑤

## განათავსებენ კი ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო დამკვირვებლებს? ④



## ვინ შერაცხა „მოღალატეებად“ სოსო პავლიაშვილი და თამრიკო გვერდწითელი? ⑤





## საქართველოს ალიას საქართველო მუდამ გულში ჰყავს,

ანუ რასაც ჩვენ ვფიქრობთ, იმათ უკვე შექმნეს ⑨

## რატომ „დააპატიმრეს“ და არ გაყიდეს ერთობ საჭირო წიგნის ტირაჟის მნიშვნელოვანი ნაწილი? ⑦




ნომრის კარიკატურა



SIC!

**24 აგვისტოს, მოქმედი კონსტიტუციის 15 წლისთავზე საზეიმოდ მიიღებენ ახალ კონსტიტუციას, რომლის მიხედვითაც ქვეყანა საპრეზიდენტო მოდელიდან შერეულ მოდელზე უნდა გადავიდეს, და პარლამენტისა და მთავრობის ძალაუფლება დაბალანსდეს. ახალი კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყნის პირველი პირი ისევ პრეზიდენტი იქნება, მეორე პირი — პარლამენტის თავმჯდომარე. მთავრობა აღარ იქნება პასუხისმგებელი პრეზიდენტის წინაშე.**




# ორაზროვანი დემეტრაშვილი

ოპოზიცია ფიქრობს, რომ ხელისუფლება ძალიან ჩქარობს ახალი კონსტიტუციის დამტკიცებას, და 2013 წლის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის უფლებებით, ანუ იგივე უფლებებით დაიკავებს პრემიერ-მინისტრის პოსტს. ახალი მოდელით პარლამენტის კი არა, სწორედ პრემიერ-მინისტრის უფლებები ძლიერდებაო. ავთანდილ დემეტრაშვილს პუტინის ვარიანტის გამეორება მიუღებლად მიაჩნია, რადგან რუსეთში არავითარი კონსტიტუციური ცვლილება არ მომხდარა და პუტინი პრემიერ-მინისტრი არჩევნების შემდეგ გახდა, ჩვენ კი ყურადღებას ვამახვილებთ მთავრობაზე და არა პრემიერ-მინისტრზეო, ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებულ ინტერვიუში იგი თავადვე აღიარებს: „რეალური პოლიტიკის განხორციელებაში პირველი ფიგურა პრეზიდენტთან ერთად პრემიერ-მინისტრი ხდება“. თუ დემეტრაშვილის თქმით, პრეზიდენტის ინსტიტუტის მონაცვლე პარლამენტის თავმჯდომარე იქნება, მაგრამ პრეზიდენტთან ერთად პირველი ფიგურა მაინც პრემიერ-მინისტრი ხდება და რეალურ პოლიტიკასაც იგი განახორციელებს, გამოდის, რომ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე ორაზროვანია, და ოპოზიციის ეჭვიც უსაფუძვლო არ არის სააკაშვილის პრემიერ-მინისტრად მოვლინების თაობაზე — ახალი მოდელი შესაძლოა, მართლაც, პუტინიზაციის ნაირსახეობა და შეფარული ფორმა აღმოჩნდეს იმისათვის, რომ სააკაშვილი ხანგრძლივად ქვეყნის პირველი პირის სავარძელში ბრძანდებოდეს.

ამ ეჭვს აძლიერებს ახალი კონსტიტუციის მაინც და მაინც მკვდარ თვედ წოდებულ — აგვისტოში მიღება, მაშინ როდესაც თითქმის ყველა ისვენებს. არაფერი დაშავდებოდა, თუ კი პროექტის კენჭისყრის გადაწყვეტილებას სექტემბრისთვის გადაიტანდნენ, ამასობაში კი პროექტი უფრო დაიხვეწებოდა. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე თამარ ხიდაშელი ფიქრობს, რომ ვენეციის კომისიას მრავალ საკითხთან დაკავშირებით სერიოზული პრეტენზია ჰქონდა. ახალი კონსტიტუციით იზრდება არა პარლამენტის, არამედ მთავრობის როლი და აღმასრულებელი ხელისუფლების უნებართვოდ საკანონმდებლო ორგანო მრავალი საკითხის გადაწყვეტისას ხელფეხშეკრული რჩება. „მართალია, ეს პროექტი დღემდე მოქმედ კონსტიტუციას აშკარად სჯობს, მაგრამ კომისიას გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლო“, — დასძინა ხიდაშელმა.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ კონსტიტუციის ახალი რედაქცია პრეზიდენტს გადასცა, სააკაშვილი თავად მიიღებს გადაწყვეტილებას, საკანონმდებლო ორგანოში მის წარდგენა-არწარდგენაში. კონსტიტუციის ცვლილებებს საბოლოოდ პარლამენტი დაამტკიცებს.

უმაღლეს საკონსტიტუციო ორგანოში პროექტის შესვლისას შეიქმნება საზოგადოებრივი საჯარო განხილვის კომისია, რომელიც საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელთან ერთად საკონსტიტუციო პროექტზე იმსჯელებს. ამის შემდეგ კი მის განხილვას პარლამენტი შეუდგება.

**ნატა ნიბლაძე**

ცინიზმი

# გრიშაშვილის ქუჩის მოსახლეობა მიწის უკანონოდ გაყიდვას აპროტესტებს

**გუშინ გრიშაშვილის ქუჩის №41-ში მოსახლეობამ აქცია გამართა, რომლის მიზეზიც მათი საცხოვრებელი სახლების წინ მდებარე ფართობი იყო, ეს ადგილი მერიამ უკანონოდ გაასხვისა. მოსახლეობის თქმით, კომუნისტების პერიოდიდან მოყოლებული 562 კვ.მ. ფართობი მათ მფლობელობაში იყო. ამის გარდა, ამ ფართობს სწორედ მოსახლეობა უვლიდა. მათ მერიაში არაერთხელ შეიტანეს განცხადება, რათა მიწის ფართობი მოსახლეობის კანონიერ მფლობელობაში გადასულიყო, მაგრამ ამ საკითხზე მერიას არავითარი რეაგირება არ მოუხდენია, უფრო მეტიც — 562 კვ.მ ფართობი მოსახლეობასთან შეუთანხმებლად გაიყიდა და თანაც საკმაოდ საეჭვო ვითარებაში, მისი მფლობელი კი ვინმე ზაზა აბესაძე გახდა.**

2007 წლის 17 აპრილს გაცემული მინდობილობით, ვინმე ეთერ სარქისოვმა, ზაზა აბესაძეს მიანიჭა ის უფლება, რაც მას თვითონ არ გააჩნდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზე (თუმცა მინდობილობას ეთერ სარქისოვი ხელს არ აწერს).

მოსახლეობის პროტესტს ლეიბორისტულ პარტიაშიც იზიარებენ, და აცხადებენ, რომ ხელისუფლების მხრიდან ეს პირველი შემთხვევა არ არის, უკვე დიდი ხანია ხელისუფლება ჩვენს მოსახლეობას დასცინის.

**კახა ძაგანია, ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიური მდივანი:**

— მაშინ, როდესაც აგვისტოს ომში სისხლს ღვრიდნენ ჩვენი ბიჭები, სააკაშვილი და მისი ხელისუფლება მიწის უკანონოდ გაყიდვით იყვნენ დაკავებულნი, რა შეიძლება უწოდოს ადამიანმა ამ უმსგავსო საქციელს თუ არა ცინიზმი ხელისუფლების მხრიდან?!

**მამუკა დარისპანაშვილი, გრიშაშვილის ქუჩის მცხოვრები:** — მერია დიდი ხნის განმავლობაში აჭიანურებდა პასუხს და გვეუბნებოდა, რომ მიწის ლეგალიზაცია შეჩერებულია, მერე აღმოჩნდა, რომ გასხვისდა. ჩვენ ვაპირებთ ამ საკითხზე სარჩელი შევიტანოთ პროკურატურაში, დაველოდებით რა პასუხს გაგვცემენ და სიტუაციის შესაბამისად ვიმოქმედებთ.

ლეიბორისტების ერთ-ერთი ლიდერის პაატა ჯიბლაძის განცხადებით კი, მიწის გაყიდვასთან დაკავშირებით ბევრი წვრილმანი დარღვევაც არსებობს, რაც აუცილებელ და საფუძვლიან გამოძიებას საჭიროებს.

**მერი ქურასბედიანი**

ზაფხულია, ცხელა, ცხელა...

# ურეკის პლაჟი ყველაზე სუფთაა, მაგრამ...

## განთქმული კურორტის ყოველდღიურობის ჩრდილნათელი



**ურეკი საკურორტო სეზონს მნიშვნელოვანი სიახლით შეხვდა. ამ დღეებში პლაჟზე გამოჩნდა იტალიური წარმოების სილის გასაცრელი ორი აგრეგატი. ურეკის პლაჟი უნიკალურია, მას ანალოგი მხოლოდ აფრიკაში მოეპოვება. მაგნიტური წარმოშობის სილა და ინერტული სილა აღიარებულია, როგორც ეფექტური სამკურნალო საშუალება. სპეციალისტების მტკიცებით, ათამდე ავადმყოფობას კურნავს მათი და ზღვის წყლის ერთიანობა.**

**ადრე აქაური დამსვენებლები საფუძვლიანად საყვედურობდნენ ზღვის სანაპირო ზოლის დაბინძურების გამო. ჩოლოქი-სუფსის მონაკვეთზე ზღვაში რამდენიმე მთის მდინარე ჩაედინება, რომლებსაც წვიმის შემდეგ ზღვაში დიდძალი ფიჩხი, ხის ფოთლები, ტყისთვის დამახასიათებელი სხვა ნარჩენები ჩააქვს, რაც შემდგომ სანაპიროს აბინძურებს. მის გაწმენდას კი დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა. მიუხედავად დასუფთავების სამსახურის მუშაკების მონდომებისა, სილაში მაინც რჩებოდა სხვადასხვა ნარჩენები. ამიერიდან აღნიშნული პრობლემა დამსვენებლებს აღარ შეაწუხებს. „საქათველოს რესპუბლიკას“ ესაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურის უფროსი მერაბ კურდღელაშვილი.**

— მოგეხსენებათ ურეკის სანაპირო სილიანია. მსგავსი სტრუქტურული შემადგენლობის პლაჟებია მსოფლიოს სახელგანთქმულ კურორტებზე — მაიამიში, იტალიაში, ესპანეთში, კანარის კუნძულებზე და სხვაგან. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ურეკის სილა სამკურნალოა. სამწუხაროდ, სანაპიროზე სასურველი სისუფთავის მიღწევა შეუძლებელი იყო. ადამიანური ფაქტორი არ კმაროდა საამისოდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ახლახან შემოვიტანეთ თანამედროვე ტექნიკა, რომელიც უზრუნველყოფს ათი სანტიმეტრი ზედა ფენის სილის მოხსნას. შემდგომ სპეციალური საცერის საშუალებით მასა გაიცრება, სილა ისევ პლაჟზე იყრება, ხოლო უცხო მინარევები სპეციალურ ბუნკერში გროვდება. აგრეგატი ბორბლებიან ტრაქტორზე მაგრდება და ისე მუშაობს. აღსანიშნავია, რომ სილა არა მარტო იცრება და სუფთავდება, არამედ ამ დამუშავების შემდეგ პლაჟიც იდეალურად სწორდება.

**— რამდენი კაცი ემსახურება ამ აგრეგატს?**

— ერთი ტრაქტორისტი. თუმცა ჩვენი მთის მდინარეების გიჟმაჟი ხასიათიდან გამომდინარე, ხშირად იქმნება პრობლემა. ძლიერი წვიმის შემდგომ ჩვენი სანაპირო სავსეა ხის ტოტებით, ფესვებით, პლასტმასის ბოთლებით და ცელოფნის პარკებით, სხვა ათასგვარი ნაგვით, რასაც აღნიშნული მანქანა ადამიანის დაუხმარებლად სილისგან ვერ გამოაცალკევებს. ოზურგეთის რაიონის ზღვისპირა ზოლის დასახლებებში, ჩოლოქიდან ვიდრე გრიგოლეთამდე, ჩვენს სამსახურში 35 კაცია დასაქმებული. ისინი მსხვილი ნარჩენებისაგან ასუფთავებენ ზღვისპირს და გზას უთავისუფლებენ სილის საცრელ მანქანას, რომელიც თავის საქმეს მართლაც ჩინებულად ასრულებს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აქტიურად გვეხმარება, სწორედ ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევის წყალობით მოხერხდა ამ ტექნიკის შემოტანა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მალე შავ ზღვაზე ურეკის პლაჟი ყველაზე სუფთა იქნება.

დასუფთავების მუშაკების თხოვნით პირადად ვნახე პლაჟის სილის გასაცრელი მანქანის საცდელი მუშაობა. მართალი გითხრათ, გაოცებული დავრჩი — ტრაქტორის წინ ოღროჩოღრო, ათასგვარი ნარჩენებით დანაგვიანებული პლაჟი საცოდავად გამოიყურებოდა, ტრაქტორის უკან კი არაჩვეულებრივად გასუფთავებული სილის იდეალურად სწორი ზედაპირი რჩებოდა. ამ ფონზე ნამდვილად დაუჯერებელია, რომ აკრძალული არაა პლაჟზე ხელზე მოვაჭრეების წარამარა სიარული. რას არ ყიდიან ისინი — მოხარშული სიმინდი, სიმინდის ბურბუშელა, მზესუმზირა, ჩიფსები, გამაგრილებელი სასმელები, ხილი და ათასგვარი ნუგბარი, თუ მალფუჭებადი ნამცხვრები და ხაჭაპურები. ერთი სიტყვით, დამტარებელი ქალები პლაჟზე ქაოსს ქმნიან, მათი გაყიდული საქონლის ნარჩენები კი აქაურობის დაბინძურების წყაროა. ამას ემატება დამსვენებელთა ბედოვლათობაც, არც ისინი იკლავენ თავს სისუფთავის დაცვით. როგორც დასუფთავების სამსახურის მუშაკები აცხადებენ, უნდა აიკრძალოს დამტარებლების ვაჭრობა პლაჟზე, როგორც ეს გაკეთდა ქვეყნის სხვა კურორტებზე.

ურეკის უნიკალური პლაჟის სისუფთავესა და აქაურ დამსვენებელთა პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის და საკრებულოს საზრუნავია. წელს ამ მხრივ სათანადო დადგენილებების მიღება დაგვიანდა. ძველმა ხელისუფლებამ, აქაოდა, წინ არჩევნებია და ჩვენ მაინც წამსვლელები ვართო, თავი არ შეიწუხა აუცილებელი ადმინისტრაციული აქტების მიღებით. არჩევნების შემდგომ მოსულ ხელისუფლებას კი, როგორც ჩანს, დრო სჭირდება საიმისოდ, რომ ეს უნიკალური კურორტი თანამედროვე დასასვენებელ, სამკურნალო და გასართობ კერად აქციოს. არასამთავრობო ორგანიზაცია „ურეკმა“ უკვე შეიტანა წერილი მუნიციპალიტეტის გამგეობაში და მოითხოვა, რაიონის საკრებულომ დაჩქარებული წესით მიიღოს დადგენილება ურეკის საკურორტო ზონაში მსხვილფეხა პირუტყვის უპატრონოდ გაშვების აღსაკვეთად. არადა, სწორედ ეს ფაქტორია აქაურობის დაბინძურების ერთ-ერთი წყარო. აქაური სასტუმროებისა და სასტუმრო სახლების მეპატრონეები უკმაყოფილონი არიან ღია კაფე-ბარებიდან გამოსული გამაყრუებელი მუსიკალური კაკაფონიით. საცხოვრებელ ადგილებთან ახლოს მდებარე კაფე-ბარების მუსიკა და მათი სტუმრების ღრიანცელი აწუხებს როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე დამსვენებლებს.

სამწუხაროდ, ადგილობრივი მმართველობითი ორგანოები ქმედით ღონისძიებებს არ მიმართავენ ამ უმსგავსობის აღსაკვეთად. არადა, საქართველოს კანონმდებლობის ათამდე მუხლი და ქვემუხლი კრძალავს გადამეტებულ ხმაურს, მით უმეტეს საცხოვრებელ და დასასვენებელ ადგილებში. არასამთავროები იმედოვნებენ, რომ გურიის გუბერნატორი ვალერი ჩიტაშვილი, მუნიციპალიტეტის ახალი გამგებელი გიორგი ტაკიძე, რაიონის საკრებულო, რომლებსაც წერილით მიმართეს, უყურადღებოდ არ დატოვებენ ურეკის მოსახლეობის და დამსვენებლების მოთხოვნას და, ვისაც ქეიფი და ღრიანცელი უნდა, ან ხმას ჩააგდებინებენ, ანდა დასასვენებელი ზონის გარეთ მიუჩენენ ადგილს.

**ამირან კილურაძე,**
**„სრ“ აჭარა-გურიის**
**საკორესპონდენტო ბიუროს ხელმძღვანელი.**

SIC!

# ყველას, ვინც დღეს ქართული მეცნიერების, კულტურისა და სულიერების ამოძირკვას ცდილობს, არცთუ შორეულ მომავალში მკაცრად მოეკითხება!

## ღია წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ბატონ დიმიტრი შაშკინს

ბატონო მინისტრო,

ამ ხუთი წლის წინათ, როცა რუსეთის სახელისუფლებო წრეებში მუსირებდა აზრი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და მეცნიერებათა აკადემიის დარბევის შესახებ, რამდენიმე გამოჩენილმა რუსმა მეცნიერმა (მათ შორის ნობელის პრემიის ლაურეატმა, აკადემიკოსმა ვ. გინზბურგმაძ საჯაროდ დასდო ბრალი რუსეთის ფედერაციის მთავრობას ცივილიზაციის ნგრევაში და განუმარტა მას, რომ „Потеря науки по последствиям страшнее Великой отечественной войны и террора 30-х годов, так как страна будет окончательно обезмыслена, („Новая газета“, № 32, 2005ძ დღეს უკვე ჩემს სამშობლოში ცივილიზაციის ნგრევამ ისეთი მასშტაბური ხასიათი მიიღო, რაც რუსეთს კი არა პოსტკომუნისტური სივრცის ნებისმიერ სხვა ქვეყანას არც კი დაესიზმრება. აბსოლუტურად ვიზიარებ რა რუსი კოლეგების შეფასებას, უფლება არ მაქვს კიდევ ერთხელ არ ავიმაღლო ხმა ჰეროსტრატეს კომპლექსით დაავადებულ ინტელექტუალურ ცვედანთა წინააღმდეგ, რომელთაც საქართველოს საბოლოო გამოთაყვანება და ქართველი ერის მომსახურე ერად გადაქცევა აქვთ მიზნად დასახული.

გასული საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში წმინდა ამბროსი აღმსარებელმა ბოლშევიკ ხელისუფალთ ამაყად განუცხადა: „ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, გული საქართველოს, ლეში კი თქვენ, ჯალათებოო“. როცა ერთი მაინც ასეთი მაგალითი არსებობს, მერწმუნეთ, სიკვდილისათვის თვალის გასწორება არც თუ ისე ძნელია. ასე რომ ახლა, როცა ამ წერილს ვწერ, არც შეშინებული ვარ და არც გაბოროტებული, თუმცა კარგად ვიცი განსხვავებულად მოაზროვნეთა დასჯის რა სრულყოფილ მეთოდებს ფლობს ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება. **გულის სიღრმეში ვერასდროს შევუნდობ იმ მეცნიერებს, უპირველეს ყოვლისა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებს, რომლებიც ყოვლად გაუმართლებელი დუმილით ფაქტობრივად ხელს უწყობენ ქართული მეცნიერების ნგრევას.** პირადად თქვენ კი ნამდვილად მეცოდებით, რადგან თუ ერთხელ შეგერქვათ მეცნიერების ჯალათი, სამარცხვინო ლაქას თქვენ კი არა, თქვენი შთამომავლობაც ვერ მოიწმენდს. ალბათ გაგიჭირდებათ დაჯერება, რომ საამისოდ ნამდვილად არ მემეტებით, რადგან ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი ხართ, თანაც გამოუცდელი პოლიტიკოსი და მე მგონი გაუსვრელიც. თუ თავს ძალას დაატანთ და ჩემს მოსაზრებებს გაეცნობით, იქნებ ბევრ რამეზე აგეხილოთ თვალი, ან უფრო მეტიც – პოზიცია შეიცვალოთ და მეცნიერების დასაღუპად კი არა, მის გადასარჩენად ილვაწოთ (რაც, სხვათა შორის, თანამდებობრივად გევალებათძ.

2005 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მცირეოდენი შესწორებით მიიღო ლომაია-ბენდუქიძენოღაიდელის ერთობლივი ძალისხმევით შემუშავებული კანონი „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, რითაც ფაქტობრივად უარყოფილ იქნა მეცნიერების განვითარების ევროპული მოდელი და დასაბამი მიეცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, როგორც კვლევით დაწესებულებათა ერთიანი სისტემის დაშლას. ალბათ თქვენთვისაც კარგად ცნობილია, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (მათ შორის უძველესი საუნივერსიტეტო ტრადიციების ქვეყნებში პოლონეთში, ჩეხეთში და უნგრეთშიძ აზრად არავის მოსვლია მეცნიერებათა აკადემიების ხელყოფა. პირიქით, ისინი ჩათვალეს ეროვნულ მონაპოვრებად და მათ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს მუშაობისთვის საუკეთესო პირობები შეუქმნეს. დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაშიც წარმატებით ფუნქციონერებენ მრავალდარგოვანი სამეცნიერო ასოციაციები, რომლებიც აერთიანებენ არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ფართო ქსელს. ასეთებია, მაგალითად, ფუნდამენტურ კვლევათა ეროვნული ცენტრი საფრანგეთში (რომლის წლიური დაფინანსება 3 მილიარდ 367 მილიონი ევროაძ და მაქს პლანკის საზოგადოება გერმანიაში (რომლის წლიური დაფინანსება მილიარდ 400 მილიონი ევროაძ. აკადემიებს, როგორც სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ერთიან სისტემებს ინარჩუნებენ ჩვენი უახლოესი მეზობლები სომხეთი და აზერბაიჯანი.

ზემოთ ხსენებული კანონის დასანერგად 2006 წლის 24 იანვარს შეიქმნა სამთავრობო კომისია ა. ლომაიას (თავმჯდომარეძ, კ. ბენდუქიძის, ა. დიდებულიძის, ფ. თოდუას და სხვათა მონაწილეობით. მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე 2006 წლის 16 მარტს პრემიერმა ზ. ნოღაიდელმა გამოსცა დადგენილება სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უშუალო დაქვემდებარებაში გადაყვანის შესახებ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით. ადამიანებმა, **რომელთა სამეცნიერო რეიტინგი პრაქტიკულად ნულის ტოლია** (რისი გადამოწმებაც იოლად შეიძლება თუნდაც Google Scholar-ის საშუალებითძ მსოფლიო სახელის მქონე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები უსახლკაროდ დატოვეს და მათ მხოლოდ მოძრავი ქონება დაუკანონეს.

დღეს არსად ცივილიზებულ სამყაროში მეცნიერები ისე დამცირებულები არ არიან როგორც საქართველოში. ბევრი ჩვენი საამაყო მეცნიერის თანამდებობრივი სარგო საარსებო მინიმუმზე გაცილებით ნაკლებია, ამასთან ისინი ყოველდღე მოელიან იმ შენობებიდან გამოსახლებას, რომლებიც ერთ დროს სპეციალურად მათი ინსტიტუტებისთვის ააგეს.

2008 წლის 12 ნოემბერს ფ. თოდუასა და ნ. სურგულაძის თანათავმჯდომარეობით საქართველოს პრეზიდენტთან შეიქმნა „სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების საბჭო“, რომელსაც დღემდე არაფერი გაუკეთებია და ერთი რეკომენდაციაც კი არ შეუმუშავებია მეცნიერთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებისათვის შოკის მომგვრელი აღმოჩნდა საქართველოს მთავრობის ამა წლის 9 ივლისის დადგენილება 15 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უნივერსიტეტების სტრუქტურულ ერთეულებად რეორგანიზაციის შესახებ. ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს დროებითი ღონისძიებაა და ერთი-ორი წლის შემდეგ უნივერსიტეტები ახალ სტრუქტურულ ერთეულებს უპრობლემოდ გააუქმებენ, ისევე როგორც ეს გააკეთა ბატონმა გ. ხუბუამ 2006 წელს, როცა ერთი პატარა ბრძანებით გააუქმა ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სექტორი და 1500-მდე მეცნიერი ქუჩაში გაყარა. ბრძანება, რომელსაც ნ. გილაური აწერს ხელს, როგორც ამბობენ, თქვენი ხელმძღვანელობითაა შემუშავებული კვლევითი ინსტიტუტების ნგრევის იდეოლოგების გ. თევზაძის, გ. ხუბუას და ნ. სურგულაძის მიერ. ნება მომეცით შეგეკითხოთ: რატომ ექცევით სამეცნიერო კოლექტივებს ისე, როგორც ბოლშევიკები პოლიტპატიმრებს. რატომ არ მიეცით, მაგალითად, საშუალება რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტს გამოეყენებინა კანონით გათვალისწინებული თვითგამორკვევის უფლება, ან რა გახდა ამ წარმატებული ინსტიტუტის რეორგანიზაციის საფუძველი. რატომ ერთხელ მაინც არ მოუსმინეთ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს პროფ. თამაზ მარსაგიშვილს – ბრწყინვალე მეცნიერს, შესანიშნავ ორგანიზატორსა და უაღრესად საინტერესო პიროვნებას.

ნუთუ დარჩენილი 41 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბედსაც ისე გადაწყვეტთ, რომ თუნდაც ზერელედ არ გაერკვევით, რა სამეცნიერო პოტენციალის მატარებელია თითოეული მათგანი.

მე მგონი მოვალე ხართ იცოდეთ, მაგალითად, რომ ანდრია რაზმაძის ინსტიტუტი ღირსეულად აგრძელებს დიდი მეცნიერების ნიკო მუსხელიშვილის, ილია ვეკუასა და ვიქტორ კუპრაძის ტრადიციებს და დღესაც მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტით სარგებლობს. და თუ ამას გაიგებთ, მაშინ ქართული მეცნიერების ამ შესანიშნავი ტაძრის დარბევაზე კი არ იფიქრებთ, არამედ მკერდით დაიცავთ მას და მკაცრად დასჯით თქვენს უვიც ჩინოვნიკებს, რომლებიც დრო და დრო შენობიდან გასახლებით ემუქრებიან ინსტიტუტის თანამშრომლებს.

ბატონო მინისტრო, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დანგრევას იმ სამეცნიერო სკოლების განადგურება მოჰყვება, რომელთა ჩამოყალიბებას ათეული წლები დასჭირდა და რომელთა წყალობითაც საქართველო მსოფლიოს ინტელექტუალურ რუკაზე დამკვიდრდა. მეცნიერების სიკვდილს კი ბუნებრივად მოჰყვება უმაღლესი და საშუალო სკოლების სიკვდილი, ანუ ქვეყნის საბოლოო გამოთაყვანება, როგორც ეს ზემოთ იყო ნახსენები.

ყველას, ვინც დღეს ქართული მეცნიერების, კულტურისა და სულიერების ამოძირკვას ცდილობს, არცთუ შორეულ მომავალში მკაცრად მოეკითხება. მე არ მინდა, რომ მათ შორის თქვენც გიხილოთ. ამიტომ გირჩევთ დაარწმუნოთ ხელისუფლება, რომ მაღალი რეიტინგის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები დააბრუნოს აკადემიის წიაღში, დაუკანონოს მათ უძრავი ქონება, დაუნიშნოს მეცნიერებს ნორმალური თანამდებობრივი სარგოები და, რაც მთავარია, საშუალება მისცეს ინსტიტუტებს ფართოდ გაუღონ კარები ნიჭიერ ახალგაზრდობას.

საუკეთესო სურვილებით,

**ივანე კიღურაძე,**
აკადემიკოსი,
ქართული აკადემიის წევრი.

19 ივლისი 2010 წელი

ავი პროგნოზი

# მეცნიერებას განაჩენი გამოუტანეს: მან არსებობა უნდა შეწყვიტოს!

**ეს განაჩენი ჯერ კიდევ 1992 წელს გაისმა? როცა ამერიკის საელჩოს ატაშესთან, ბატონ ჰაჩისონთან, რომელიც საქართველოში განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კურატორი იყო, ძალზე მძიმე საუბარი მქონდა. იმ დროს განათლების მინისტრის მოადგილე ვიყავი უმაღლესი განათლების დარგში და სათხოვნელად მივედი, რათა ამერიკა მარტო იურისტებისა და მენეჯერების მომზადებაში კი არა, ექიმების მომზადებაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარებაშიც დაგვხმარებოდა.**



ძალიან გაიკვირვა: „რად გინდათ მძიმე მეცნიერებების განვითარება? თქვენ ხომ განვითარებადი ქვეყანა ხართ და სახელმწიფომ მხოლოდ დაწყებითი განათლება უნდა დააფინანსოს! თქვენ მხოლოდ იურისტები და ეკონომისტები გჭირდებათ, მეციერება კი თქვენი საქმე არ არის“.

ექიმებთან დაკავშირებით თქვა, რომ ჩვენ თურმე მხოლოდ ექთნები გვჭირდება, რომლებსაც პირველი სამედიცინო დახმარება და აცრების ჩატარება ეცოდინებათო.

როცა მისი შეხედულებები გავაპროტესტე, მითხრა: „ჩვენ ფინანსურად მხოლოდ იმიტომ გეხმარებით, რომ შიმშილს გადაურჩეთ. სახელმწიფომაც თავისი რესურსები მხოლოდ ამ მიზნით უნდა გამოიყენოსო. რადგან განვითარებადი ქვეყანა ხართ, განვითარებადი ქვეყნების კანონებით უნდა იცხოვროთო!“

ვცხოვრობთ კიდეც ზამბიისა თუ კამბოჯის კანონებით და ჯართისა და ხე-ტყის გატანაც კი ვერ ავკრძალეთ. სამაგიეროდ, მიწებს ვყიდით გადამთიელებზე და ჩვენი სტრატეგიული ობიექტების უცხოელებზე გასხვისება ინვესტიცია გვგონია.

ასეთია „განვითარებადი ქვეყნის“ ბედი და სანამ ამ სამარცხვინო სტატუსს თავიდან არ მოვიცილებთ, ჩვენი ქვეყანა ცენტრალური აფრიკისა და ცენტრალური აზიის განვითარებადი ქვეყნების გუნდის წარმომადგენელი იქნება.

ამერიკელთა რჩევა (თუ განაჩენიძ, რომ სახელმწიფომ მხოლოდ დაწყებითი განათლება უნდა დააფინანსოს, პირველად 1995 წლის კონსტიტუციაში გამოჩნდა: განათლების მუხლი შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა: „სახელმწიფო უზრუნველყოფს ცხრაწლიან განათლებას“(?!ძ

რატომ „ცხრაწლიანს“? იმიტომ, რომ იმდროინდელმა განათლების მინისტრმა ოთხწლიანი დაწყებითი განათლება ექვსწლიანი გახადა, პარლამენტმა კი დებატების შემდეგ ის „ცხრაწლიანამდე“ გაზარდა და რომ არ ყოფილიყო ვახტანგ გოგუაძე, რომელმაც სარედაქციო შესწორების გზით ამ მუხლს დაამატა: „სახელმწიფო შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს საშუალო და უმაღლეს განათლებას“, ყველა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი 1995 წლის კონსტიტუციით დაიხურებოდა.

თუმცა, 2005 წლის განათლების კანონმა ამერიკელთა მოთხოვნა გაითვალისწინა და უნივერსიტეტები საერთოდ გაანადგურა. განადგურება კი სწორედ სამეცნიერო სექტორის გაუქმებით დაიწყო.

შემდგომ წლებში ხშირად გაიგონებდით სახელისუფლო წრეების წარმომადგენლებისგან: მეცნიერება საქართველოსთვის ფუფუნებაა! რა დროს მეცნიერება და მაღალი დონის განათლებაა, მთავარი ტურიზმის განვითარება, სასტუმროებისა და გზების მშენებლობაა! სკოლისაგან მხოლოდ კომპიუტერისა და უცხო ენის სწავლებას ვითხოვთ!

გაიხსენოს ოპოზიციის ზოგიერთმა დღევანდელმა ლიდერმა საკუთარი წვლილი განათლებისა და მეცნიერების ნგრევაში. განა მათი ხელშეწყობით და უშუალო მონაწილეობით არ დაინგრა განათლების სისტემა და მეცნიერების კერები? ერთადერთი ყოფილი გუბერნატორი ბატონი თემურ შაშიაშვილი იყო, რომელმაც რეალური ნაბიჯები გადადგა განათლების გადასარჩენად და ქუთაისელ პროფესორებს 150 ლარი ხელფასი დაუნიშნა მაშინ, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ხელფასი სულ 14 ლარი იყო.

ამდენად, მეცნიერების მკვლელობა შევარდნაძის ხელისუფლებამ მეთოდურად დაიწყო, ხოლო მის მიერ დასმულმა სააკაშვილის ხელისუფლებამ კიდევ უფრო მძლავრად შეუტია და ჯერ ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი გაანადგურა, შემდეგ კი მეცნიერებათა აკადემიას ინსტიტუტები წაართვა და საჯიჯგნად განათლების სამინისტროს გადასცა.

იხ. 9 გვ.

შიშველი რეალობა

***საქართველოს** მთავარი ამოცანა ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციაა და მთელი ძალისხმევაც აქეთკენ უნდა იყოს მიმართული. ამ მიმართულებით ხელისუფლების წინგადადგმულ ნაბიჯებს, მჯერა, საქართველოს ყველა მოქალაქე მიესალმება. სიმართლეს ვიტყვი და ბოლო დროს, საქართველოში დასავლელი მაღალჩინოსნების ვიზიტმა ცოტა იმედიც კი ჩამისახა. თუმცა ამას ვერ ვიტყვი აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის ვიზიტის შედეგებზე. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ორ ქვეყანას მხოლოდ ნავთობის სექტორი და აწ გარდაცვლილი ჰეიდარ ალიევის „ჭკვიანური გათვლა“ აკავშირებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობის სახით, როგორც ეს საქართველოს პრეზიდენტმა თქვა. თითქოს ორ ქვეყანას შორის სხვა პრობლემებთან ერთად არ არსებობდეს ისეთი მტკივნეული საკითხი, როგორიც დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსია.*

# ტაბუდადებული „დავით გარეჯი“



მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტებმა ბათუმში გამართული შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე უამრავ საკითხზე ისაუბრეს და ორივე პრეზიდენტმა მხოლოდ ერთმანეთის ქვეყნები შეაქეს – როგორ დამშვენებულა ბათუმი და როგორ დღითი დღე ყვავდება აზერბაიჯანი.

ველოდი, ერთ განცხადებას მაინც გააკეთებდნენ მინიშნებით მაინც, ამ ჰაერში გამოკიდებულ „დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის“ საკითხზე. დამოუკიდებელ ქართულ მედიას ეს „არ გახსენებია“ და ცხადია, აზერბაიჯანული მედია ამ კითხვას არ დასვამდა – მათ იციან, რომ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი ალბანური კულტურის ძეგლია და ახლა თავად არიან სამართალმემკვიდრეები.

ტაბუდადებულ „დავით გარეჯის“ საკითხზე ხელისუფლება დუმს და ყოველგვარი კომენტარისაგან თავს იკავებს. თავშეკავების მიზეზი კი ისეთივე აუხსნელია, როგორც თბილისში ლესელიძის ქუჩაზე მდებარე ეკლესიის საკითხი, რომელიც დღემდე გაურკვეველია ქართული წარმოშობისაა თუ სომხური. დღემდე არკვევენ ვის ვინ მიჰყიდა რის ფასად და ა.შ.

სხვათა შორის, აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროსგან შევიტყვე, რომ სულ რამდენიმე დღის წინათ ბაქოში საქართველოსა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეების დავით ჯალაღანიასა და ხალაფ ხალაფოვის კონსულტაციები გაიმართა. ორივე მათგანი აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელები არიან. ამავე შეხვედრაზე შედგა შეთანხმება, მიმდინარე წლის სექტემბერში აღნიშნული სახელმწიფო კომისიის მორიგი სხდომის ჩატარების შესახებ.

კომისია 1999 წლიდან მუშაობს და მხარეებმა სახელმწიფო საზღვრის მხოლოდ 65 პროცენტის შეთანხმება შეძლეს და ამ ხნის განმავლობაში ყველა შეხვედრა უშედეგოდ სრულდება.

საქართველო აზერბაიჯანის შვიდ რაიონს ესაზღვრება – კაზახის, აგსტაფის, ტოვუზის, სამუხის, კახის, ბელაქანის, ზაქათალის ხაზის სიგრძე 480 კილომეტრია.

რადგან ამ შეხვედრის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ აზერბაიჯანულმა მხარემ გაავრცელა, „საკითხის გადაუწყვეტელობის“ მათ ვარიანტს დავასახელებ. აზერბაიჯანის საგარეო უწყება აღნიშნავს, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის საკითხის გადაუწყვეტელობა ამდენი ხანი, **სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული და რელიგიური ღირშესანიშნაობის - დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთანაა** დაკავშირებული. სამონასტრო კომპლექსი თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით - 60 კილომეტრში მდებარეობს. მთავარ მონასტრად ითვლება ლავრა წმინდა დავითისა, რომელიც მთის ჩრდილოეთ ფერდობზე მდებარეობს, სწორედ ეს მთა ჰყოფს საქართველოსა და აზერბაიჯანს.

აზერბაიჯანის მიწისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გარიბ მამედოვმა კი განაცხადა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე – კეშიკჩის გორაზე განლაგებული მონასტერი ალბანური წარმოშობისაა.

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხალაფ ხალაფოვი, რომელიც ამავე დროს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტარიზაციის კომისიის თანათავმჯდომარეა, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს ალბანეთის ისტორიული ძეგლის „კიშექჩის“ სახელით მოიხსენიებს და აღნიშნავს, რომ მისი კუთვნილების საკითხი სადავოა. იგი ჯერ კიდევ 2007 წელს აცხადებდა, რომ კომისიის სხდომებზე ქართულ მხარეს დავით გარეჯის კუთვნილებისა და მასთან დაკავშირებული პრობლემის შესახებ საკითხი არასოდეს დაუყენებია.

„ალბანური ძეგლის თემა სადავო საკითხია, თუმცა კომისიის ფუნქციაა განისაზღვროს მონაკვეთი, სადაც უნდა გაიაროს საზღვარმა, რომელიც ორ ქვეყანას გაყოფს. რაც შეეხება სხვა საკითხებს, ეს კომისიის კომპეტენციაში არ შედის“, – განაცხადა ხალაფოვმა.

ორი ქვეყნის ურთიერთობის ამ ყველაზე დელიკატური საკითხით 2007 წელს ოპოზიციაც დაინტერესდა და ჩოხა-ახალუხებში გამოწყობილი რამდენჯერმე ჩავიდა დავით გარეჯში. მერე კი როგორც ხდება ხოლმე, დავით გარეჯის პრობლემები აღარავის გახსენებია. უფრო მეტიც, მაშინდელი ოპოზიციური გაერთიანების, “დემოკრატიული ფრონტის“ ერთ-ერთი ლიდერი ზვიად ძიძიგური აცხადებდა, რომ დავით გარეჯის შესახებ არსებულ მასალებს, რომელიც 1918 წლიდან მოყოლებული ორი ქვეყნის ყველა დოკუმენტურ მასალას შეიცავს, დემოკრატიული ფრონტის იურისტები სწავლობენო. მას შემდეგ სამ წელზე ცოტა მეტი გავიდა, თუმცა ახლა თუ მოვიკითხავთ, გვეტყვიან „დემოკრატიული ფრონტი“ აღარ არსებობს და ცხადია, ეს საკითხიც ჰაერში იქნება დარჩენილი.

ერთი სიტყვით, აყვავებული ბაქო-ბათუმის, მართლაც სამაგალითო საქართველო-აზერბაიჯანის ურთიეროზების ფონზე დავით გარეჯი არავის ახსოვს, ან თუ ახსოვს მასზე არავინ საუბრობს. სახელმწიფოთაშორისო ურთიეროზებში კულუარული პოლიტიკა ნამდვილად გასაგები და ზოგჯერ იძულებით მისაღებია. თუნდაც იმიტომ, რომ გვეტყვიან მიმდინარეობს მოლარაკებებიო. დაძინებული ოპოზიციური პოლიტბიზნესმენებისთვის მხოლოდ რეინტინგული-წინასაარჩევნო თემაა, რომლიც აუცილებლად ჩოხა-ახალუხში ჩაცმულმა უნდა გაახმოვანო. ახლა კი ზაფხულია, ზაფხულს კი სიშიშვლე უხდება. შიშველი რეალობა კი ამ შემთხვევაში არასახარბიელოდ გამოიყურება.

**თემურ ჟუჟბურიძე,**
„ХО-ЭОВ-ЭЕО“

თვალსაზრისი

# „საფრანგეთის პრინციპულობა ოკუპირებულ ზონებში საერთაშორისო დამკვირვებელთა განთავსებით უნდა გამოიხატოს“



**ექსპერტი კავკასიის საკითხებში, ყოფილი დიპლომატის გიორგი მამულიას აზრით, „კუშნერის მიერ თბილისში დეკლარირებული საფრანგეთის პრინციპულობა, რეალური ქმედებებით, ოკუპირებულ ზონებში საერთაშორისო დამკვირვებელთა განთავსებით უნდა გამოიხატოს“.**

როგორც „პირველს“ მამულიამ განუცხადა, **„საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბერნარ კუშნერის ვიზიტს საქართველოსთვის უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ვიზიტი კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ რუსეთთან საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობის მიუხედავად, ოფიციალური პარიზი საქართველოსადმი საკუთარი ვალდებულებების იგნორირებას არ აპირებს“.**

**„სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან ასეთ შემთხვევაში საფრანგეთის, როგორც სარკოზი-მედვედევის ხელშეკრულების ხელმომწერი ქვეყნის ავტორიტეტი, აშკარად შეილახებოდა. იმის მიუხედავად, რომ დღევანდელ მსოფლიოში შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, საფრანგეთისა და ევროპის მთავარი ყურადღება საერთაშორისო უსაფრთხოების თვალსაზრისით მსოფლიოს სხვა რეგიონებზეა გადატანილი, პარიზი მაინც ცდილობს მის ხელთ არსებული მშვიდობიანი საშუალებებით, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი საქართველოს დეოკუპაციისა და, საბოლოო ჯამში, გამთლიანების პროცესს“,** – განაცხადა მამულიამ.

ამასთან, ექსპერტი საქართველოს დეოკუპაციისა და გამთლიანების საუკეთესო საშუალებას საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაში ხედავს.

**„როგორც არაერთგზის აღნიშნა თავად კუშნერმა, ძალზედ მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება. ამ კონტექსტში, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირებული ურთიერთობების ხელშეკრულების გაფორმებას, რომელიც სწორედ საფრანგეთის მიერ იყო ინიცირებული. კერძოდ, გაადვილებული სავიზო რეჟიმის გარდა ქართული პროდუქციის დაშვებას ევროკავშირის ბაზარზე, რაც, რეალურად ითამაშებს ფუნდამენტალურ როლს, საქართველოს მომავალი ევროინტეგრაციის პროცესში. ფაქტიურად, ამით ევროკავშირი პირდაპირ გზავნილს უგზავნის აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას: — თუ კი თქვენც გსურთ თანდათანობით მიუახლოვდეთ ცხოვრების ევროპულ დონეს, ამ გზის გავლა თქვენთვის მხოლოდ ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩარჩოებში იქნება შესაძლებელი. სადღეისოდ ამ კურსს ალტერნატივა არ გააჩნია. ოღონდ, ისიც უნდა ითქვას, რომ ხსენებული სტრატეგიის წარმატებულობა პირდაპირ კავშირშია იმასთან, თუ რამდენად სწრაფად განვითარდება თავად საქართველო, როგორც თანამედროვე ევროპული სახელმწიფო. გასავლელი, რა თქმა უნდა, ბევრია, მაგრამ ბოლო დროს აღებული ტემპი იძლევა საკმაო ოპტიმიზმის გრძნობას, რასაც, თავის მხრივ, სრულიად ადასტურებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ბოლოდროინდელი მკვეთრი დიპლომატიური გააქტიურება საქართველოს მიმართ.**

**გარდა ამისა, უდიდესი მნიშვნელობა ექნება თავად ევროკავშირის პოზიციასაც, რომელმაც, რუსეთთან გარკვეული დიალოგის პარალელურად, უნდა განაგრძოს პრინციპული დიპლომატიური ზეწოლა კრემლზე, საქართველოს საბოლოო დეოკუპაციის მიზნით, რისი პირველი ეტაპი, ოკუპირებულ ზონებში საერთაშორისო დამკვირვებელთა განთავსება უნდა იყოს. კუშნერის მიერ თბილისში დეკლარირებული საფრანგეთის პრინციპულობამ, რეალური ქმედებებით სწორედ ამ საკითხებში უნდა იჩინოს თავი“,** – განმარტა ექსპერტმა.



## ვაი „პატრიოტისგან“

*უკვე ორი წელიწადი გავიდა, რაც აგვისტოს ომის შემდეგ საკაბელო კერძო ტელეკომპანიებმა რუსული საინფორმაციო არხების მაუწყებლობა გაუთიშეს ქართველებს, მერე კი მათ რუსულენოვანი „ევრონიუსიც“ მიაყოლეს. ჩვენი „დემოკრატი“ ხელისუფლების არაერთი თხოვნის მიუხედავად, „ევრონიუსს“ რაღას ერჩოდით, რას იტყვის ევროპა, ვინლა დაგვიჯერებს, რომ ევროპისკენ მივდივართო, ჩვენი საკაბელოები პატრიოტულად ჯიუტობენ: თქვენ არ იცით, „ევრონიუსი“ რაც არის, „გაზპრომს“ მიეყიდა თავფეხიანად და არც ერთის ჩართვას არ აპირებენ — თვალი დაუდგეს ევროპასო!*

თუმცა ხუმრობა იქით იყოს და, მართლა მაინტერესებს, ე. წ. საარჩევნო გარემოს შეცვლაში, რაც ახალ პოლიტიკურ მიზნად, გნებავთ, საბაბად დაგვისახა ოპოზიციის ერთმა ნაწილმა, მედიის თავისუფლება არ იგულისხმება? და აქედან, ზოგადად მედიაში კონკრეტული რუსული არხები არ შედიან? რაღაც არავისგან მსმენია, მათ შოვავებით, ვისაც ე.წ. თეფშები არ უყენია აივნებზე, მეც მაქვს ხოლმე სწორედ იმ არხებზე, რომლებიც ასე წინდახედულად გაგვითიშეს.

ისე, გემოვნებაზე არ დავობენო და, არც მე ვაპირებ იმ ცეროდენა გოგონასთან დავას, რომელიც დარწმუნებულია, რომ რუსულ ესტრადაზე საშინელი არაფერია, მაგრამ ერთი

# „საშინელი“ რუსული ესტრადა



## ანუ კიდევ ერთხელ ქართველ „მოღალატეებზე“!

რის იმ ოპოზიციისგან, რომლებიც დღე და ღამე რუსეთთან დიალოგის აუცილებლობაზე ლაპარაკობენ, რომ ეს საკითხი სადმე, თუნდაც უცხოელი ემისრების წინაშე დაესვათ.

ვიდრე ამ რიტორიკულ კითხვებს ვინმე პასუხს გასცემდეს, მანამდე ალბათ დროა, წერილის სათაურიდან გამომდინარე მთავარ თემაზე ვისაუბროთ:

თქვენც საშინელ რუსულ ესტრადას უსმენთ? — აი, ასეთი „ბუნებრივი“ კითხვა დაუსვა ამას წინათ მამუკა ონაშვილის საავტორო შოუში „ბედნიერი ოჯახი“, მიწვეულ სტუმარს თითის სიგრძე, 8-10 წლის გოგონამ, შოუში, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა შვილებისთვის მშობლების მიმართ უპატივცემლობის გრძნობის ჩანერგვა.

ამ გადაცემაში თავიდან შვილები მშობლებს თავზე წყალს ასხამდნენ. ზამთრის სეზონში კი, არ გაცივდნენო და, მამუკამ წყალი ტორტებით და კრემებით შეუცვალა ბავშვებს. მაგრამ ოჯახების სრული ბედნიერებისთვის მამუკა ონაშვილს ვთავაზობ, რომ „არსენალში“ ღამის ქოთნებიც შეიტანოს. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ბედნიერება იქნება, საკუთარი შვილი ფეკალიებით სავსე ღამის ქოთანს რომ დაგამხობს თავზე.

თუმცა, მოდით, ისევ რუსული ესტრადის „საშინელებას“ დავუბრუნდეთ. თავი დავანებოთ იმას, რომ ბავშვის ნათქვამში აშკარად იგრძნობა დიდების პროპაგანდა, რომ ყველაფერი რუსული საშინელი და საზიზღარია, მათ შორის რუსული ესტრადაც, რომლის ხილვის საშუალება, ბევრისგან განსხვავებით, ვისაც ე.წ. თეფშები არ...

რამის თქმა ნამდვილად უეჭველად შემიძლია — კონცერტებიდან, რომლებიც ხშირად გადაიცემა „გათიშული არხებით“, იმდენი ენერგია, იმხელა ოპტიმიზმი იღვრება, იმდენად თვალშისაცემია ის, რომ „საზიზღარი რუსეთი“, „დემოკრატიულ“ საქართველოზე ბევრად წინ არის, რომ ამისი ჩვენება საქართველოს მოსახლეობისთვის მართლაც არანაკლებ სახიფათო შეიძლება იყოს ჩვენი ხელისუფლებისთვის, ვიდრე ის, რომ ყოველდღე გვასმენინონ ჟირინოვსკის, ზიუგანოვის თუ სხვა „ქორების“ ბჟუტური.

უფრო სწორად, მასეთი ბჟუტურები არანაირად არ არის სახიფათო. არც იმის ყურება, თუ როგორ აშარჟებენ ყოველ კვირა ღამეს ჩვენი პრეზიდენტის ანიმაციურ დუბლიკატს, რა, თვითონ მიშიკო გვაკლებს მსგავს წარმოდგენებს „გაუთიშავ“ „რუსთავი“ 1, 2, 3-ზე და ა. შ.?

ნაკლები საცირკო ნომრები გვინახავს „მიშკლოუნის“ შესრულებით? მისი ბოლო „ნანუკას შოუ“ რად ღირდა, სადაც მიშამ დაიჩივლა, სახლში ჩუსტები არა მაქვს, არც ძმაკაცი მყოლია ოდესმე, ან ის, რომ ეგ და მისი მინისტრები მესიჯობის მეტს არაფერს აკეთებენ? აბა ესეთები რა საშიშია? ბოლოს და ბოლოს, ერთი კომპოზიტორა მინისტრი რომ ჰყავს, იმ სიმღერას გაურემიქსებს და გაუკლიპებს — „გიყიდი გიყიდი ფაჩუჩებს, როცა ფული მექნება“... „იგულავე, იჯეჯილე“ სანამ ხოში გექნება“ და ეგ არის...

ჰოდა, ვეთანხმები ჩემს პატარა მეგობარს, მთავარი საფრთხე საშინელი რუსული ესტრადაა. საშინელის ფუძე ხომ შიშია და მართლაც საშიშია ჩვენი ხელისუფლებისთვის, ქართველებმა რომ რუსულ ესტრადას ვუყუროთ. საიდანაც სიმდიდრე, სიმაძღრე, „გულაობა“ იყურება. და თან იმას გვეუბნება — საით იწევთ ქართველებო? ერთმორწმუნეებო! სექტანტურ დასავლეთში რა დაკარგეთ, რას ეძებთ? მოდით, ისევ ძველებურად ერთად ვიგულაოთ! — „თქვენი კაცები და ჩვენი ქალები“ ჯობია თუ პირიქით, რასაც ამერიკა გთავაზობთ?

იმ დღესაც, უფრო სწორედ 16 ივლისის ღამეს, შემთხვევით „ORT“-ზე, ჩვენებურად I არხზე რაღა, გადავრთე და პატრიცია კაასი არ შემრჩა ხელში? და იცით, ვისთან ერთად მღეროდა, ვისთან და, ჩვენს სოსო პავლიაშვილთან ერთად. პატრიცია, ულამაზესი ქალი და უნიჭიერესი ფრანგი მომღერალი, რომელმაც ესტაფეტა დიდი ედიტ პიაფის და განუმეორებელი მირეი მატიესგან მიიღო.

ეს ისე, ცნობისთვის, თუ რამხელა სიმაღლეზე აფრენილა ჩვენი სოსო, მაგრამ თურმე ჯერ სადა ხარ? ცოტა ხანში პატრიცია კაასმა სცენაზე რუსეთის სახალხო არტისტი, ჩვენი თამარ გვერდწითელი მიიწვია და ისეთი დუეტი შეასრულა ლეგენდარული ედიტ პიაფის რეპერტუარიდან, რომ, ჩვენ ფილარმონიაზე, არ ვიცი, ალბათ ათჯერ დიდი დარბაზის მქუხარე აპლოდისმენტები, ოვაციები დაიმსახურეს, რომლის არც თუ უმნიშვნელო წილი, თამრიკოს ეკუთვნოდა.

ამ ყველაფრის მაყურებელმა კი დიდი ხნის განუცდელი განვიცადე — მეამაყებოდა, რომ მეც ქართველი ვარ! და ისიც გამახსენდა, რომ ცოტა ხნის წინათ თამრიკოც და სოსოც ჩვენმა ურაპატრიოტებმა მოღალატეებად შერაცხეს — როგორ თუ პროტესტის ნიშნად არ აგინეს პუტინს დედ-მამის სული და ისევ აგრძელებენ საშინელ რუსულ ესტრადაზე სიმღერასო.

არა, ჩემო სოსო და თამრიკო! გული არ გაიტეხოთ, რადგანაც ურაპატრიოტების გარდა, სხვა ნორმალური ქართველებიც ვარსებობთ, რომელთაც გვიყვარხართ და გვეამაყებით.

კიდევ კარგი, რომ დროზე უშველეთ თავს, თორემ აქ პატრიცია კაასთან კი არა, დიდი დიდი, ზუმბასთან, ბუბასთან, ლექსენთან და მიშას სხვა „ოსანისტებთან“ ერთად გემღერათ „ხონში“, ან იქნებ ლელა წურწუმიასთან ან გიო ხუციშვილთან დუეტისთვის გამოგეკრათ ხელი და თუ მთლად ჭკუით მოიქცეოდით, 26 მაისს ნანისთან, ნიაზთან, ანანიაშვილთან და სხვა მრავალთან ერთად, რომლებიც პიონერებივით ჩაამწკრივეს რუსთაველზე, თქვენც გაბრწყინდებოდით პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენებით.

ჰოდა, ბრძანდებოდეთ მანდ ქვეყნისა და ხალხის „მოღალატენო“! იმღერეთ და იცეკვეთ „საშინელი“ რუსული ესტრადის სცენაზე. ჩვენ კი ურაპატრიოტებთან ერთად დავითვლით, თუ რამდენჯერ ახსენა ქალბატონმა ჰილარიმ სიტყვა „ოკუპაცია“: დილას ზუმბას „აფხაზეთოს“ მოვუსმენთ, შუა დღეს — „ხაჩიკიანის“ პოლიციაზე ჰიმნს და საღამოს, ძილის წინ — იგივე „ხაჩიკას“ „მიშა რა მაგარია“, ქართული ესტრადის „ვარსკვლავების“ შესრულებით.

მეტი რა დაგვრჩენია როო?

**დავით მხეიძე**

## ზაფხულის ვნებანი

# ბინის ქურდები პროფესიას სრულყოფენ

**ზაფხულის სეზონის დადგომასთან ერთად იმატა როგორც დედაქალაქიდან გასულთა, ასევე მათი გაქურდული ბინების რაოდენობამ.**

სამართალდამცავები არაფრის გულისთვის არ აქვეყნებენ გასული წლის ანალოგიურ პერიოდში გაქურდული სახლების რაოდენობას, მხოლოდ ერთ-ერთ ბრიფინგზე წამოსცდა ჩინოსანს, 261 იყოო. ანალიტიკოსები, ექსპერტები გამოთქვამენ აზრს, რომ გასულ წელს დღეში 20-მდე ბინა იქურდებოდა.



როგორც გვიყვებიან, შარშანდელი მაჩვენებლით აშკარად სჭარბობდა ბინებში მორგებული გასაღებით შეღწევის შემთხვევები, „საქმეზე“ გამოსულნი დადიან სადარბაზოებში, ამოწმებენ სახლში მყოფთ. სწავლობენ მათი სახლიდან გასვლისა და უკან დაბრუნების გრაფიკს. შერჩეულ სახლს ულებენ ე. წ. „ატმიჩკას“ და მისი მეშვეობით დაუბრკოლებლად შედიან ობიექტში.

თუ წინაათ ამ საქმეზე მომუშავეთ თავიანთი „ნაკოლშიკები“ ჰყავდათ, დღეს მათი არსებობა საჭირო აღარ არის. საშოვარზე გამოსული კარგად ერკვევა სატელიტური ანტენის, ძვირადღირებული კარის, კონდენციონერისა და სხვა აქსესუარების ღირებულებაში და შესაღწევიც შერჩეულია.

საკმაოდ ხშირია ახლად აშენებული მრავალსართულიანი ბინების გატეხვის ფაქტები. საქმე ის არის, რომ მეზობლები ჯერ ერთმანეთს არ იცნობენ. სადარბაზოებში უამრავი ხალხი ტრიალებს — ხელოსანი, მუშა. ქურდებისთვის შესანიშნავი დრო დგება.

იკლო, მაგრამ მაინც არსებობს ბინებში სახურავიდან, აივნიდან შეღწევის შემთხვევები. დიღომში მოგელაძეებთან ორმა მძარცველმა სატელიტური ანტენებისა და სარეცხი ჯოხების მეშვეობით შეაღწია. მაგრამ დაუპატიჟებელ სტუმრებს რაღაც შეეშალათ: იმ დროს როდესაც ძვირფასეულობას არჩევდნენ, სახლში დიასახლისი და მისი ვაჟი დაბრუნდნენ, ქურდებმა გადაწყვიტეს იგივე მეთოდით გაპარულიყვნენ, როგორც შემოვიდნენ. დაიწყეს დაშვება. წინ მიმავალმა ჯგუფიამ შეძლო წარმატებით დაშვება. მაგრამ არ გაუმართლა მის მეგობარს ნიკოლოზიშვილს. მან ჯოხებზე ფეხი ვერ მოიკიდა, მეექვსე სართულიდან გადმოვარდა და ადგილზევე გარდაიცვალა. წარმატებით დაშვებული ჯგუფია პოლიციამ დააკავა.

თუ დიდი მატერიალური დანაკლისი არ არის, მოსახლეობა თავს არიდებს პოლიციაში სიარულს, რადგან დაზარალებულები შეწუხებულნი არიან სამართალდამცავთა დროში გაჭიმულ და უაზრო საგამოძიებო პროცედურებით. მოქალაქეების ნაკლები მომთხოვნელობის გამო, საქმე შეიძლება სასტიკად გაიწელოს ან საერთოდ მიფუჩეჩდეს. ისე გამოდის, რომ დაზარალებული და ქურდი ალიანსში არიან. ამ შემთხვევაში ხომ ქურდი დაუსჯელი რჩება.

პროფესიონალები ერთ კურიოზსაც იხსენებენ. ქურდებმა ვერასგზით ვერ შესძლეს რკინის კარის გაღება. მაშინ იშოვეს ე. წ. „ტროსტი“. ერთი ბოლო ლიფტს გამოაბეს, მეორე კი კარს. ლიფტი გაუშვეს. კარი ანჯამებიდან ამოვარდა.

პოლიციის უმწეობის გამო მაცხოვრებლები იმ დონემდეც კი მივიდნენ, რომ დაიწყეს ულექტროსაკეტების შეძენა. თუმცა ქურდებმა მასაც მოუძებნეს გასაღები. ოპერატიული თანამშრომლების გადმოცემით, საკეტებს ტეხენ (ეს მეტად სარისკო საქმეა და მუშაობის ამ მეთოდს იშვიათად მიმართავენ). უფრო უსაფრთხოა სადარბაზოში შუქის გამორთვა და შემდეგ ელექტრომოწყობილობის გატეხვა ან გაღება.

პროფესიონალები სიტუაციას სრულიად უიმედოდ ნამდვილად არ გვიხატავენ. უბრალოდ, საჭიროა, გვიხსნიან ისინი, საკუთრების დაცვის პოლიციამ თავისი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ ობიექტებზე გააძლიეროს შემოვლითი ღონისძიებები და რეგულარულად გადაამოწმონ მათი დაცვის ქვეშ მყოფი ობიექტი, იმათ შესამოწმებლად გავიდნენ არა მხოლოდ იმ დროს, როდესაც ობიექტზე საგანგაშო სიგნალი ჩაირთვება.

**ზაზა ბილიხოძე**

## ინფორმაცია

# „ავტოპარკინგელები“ „სტაიანშიკებს“ ატერორებდნენ

**ჩატარებული** ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დადგენილი და გამოვლენილი იქნა დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელთაც თითქოსდა ავტოსადგომების მომსახურების მოწესრიგების მიზნით შექმნილი ჰქონდათ შ.პ.ს „ავტოპარკინგი“. სამართალდამცავების განცხადებით, ისინი ფიზიკური ძალისა და მუქარის გამოყენებით, აიძულებდნენ ავტოსადგომზე მყოფ ე.წ. „სტაიანშიკებს“ გაწევრიანებულიყვნენ მათ ფირმაში, რომელსაც არანაირი სამართლებრივი უფლება არ ჰქონდა მსგავსი საქმიანობის წარმართვის და აიძულებდნენ ყოველი დღის ბოლოს მათთვის გადაეხადათ დადგენილი ტარიფი, 20-30 ლარის ოდენობით.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებისათვის დაკავებული იქნენ: შ.პ.ს. „ავტოპარკინგის“ დამფუძნებლები: 1982 წელს დაბადებული ხვიჩა წკეპლაძე და 1979 წელს დაბადებული დიმიტრი ჭელიძე; დირექტორი, 1961 წელს დაბადებული იური ბარბაქაძე და ამავე ფირმის თანამშრომელი, 1971 წელს დაბადებული მამუკა აფციაური. დაკავებულები მიცემულნი იქნენ პასუხისგებაში. დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვსიდან ცხრა წლამდე.

ХО-ЭОВ-ЭНО

◎ „თეთრი ხიდი“

# ჯილდო მწვერვალზე ადის



**ჯვარი-მესტიის საავტომობილო ტრასიდან ბილიკი მარცხნივ მიუყვება აღმართს და ქირკვალად შემორტყმია წულიშს! წულიში ერთი ულამაზესი მთაა ქალაქ ჯვარის ჩრდილოეთით, ენგურისა და მაგანას წყალგამყოფად აღმართული, შესანიშნავი ხედი იშლება წულიშის მწვერვალიდან, — სამხრეთით კოლხეთი გადაშლილა, ჩრდილოეთით კი, კავკასიონია, აღმოსავლეთით ყვირას ლეგენდარული მთამაღალია, დასავლეთით — ოხაჩქუეს ოდითგან ცნობილი კლიმატური კურორტია, მას იქით კი ჩვენი მორდუ-ხანულები, ჩვენი სისხლი და ხორცი, ქვეყნის „აფხად“ და „ბეჭად“ წოდებული ძმები, ჩვენი აფხაზები ცხოვრობენ.**

ამ სამანებში ჩადგმულა მსოფლიოში უმაღლესი, უნიკალური თაღოვანი კაშხალი და ხეობაში ფირუზისფერ სილურჯედ ჩალვენთილა „ენგურის ზღვა“. მეორე მხარეს კი, მაგანას ხეობას მიუყვება გზა-შარა და ლეგენდარულ „ტობა ვარჩხილთან“ მთავრდება. თუ, ენგურის ხეობას ავაყოლებთ მზერას, იქ სვანეთია, დიდებული სვანეთი, კოშკებისა და საოცრებათა ქვეყანა!

ყველაფერი ეს წულიშის მწვერვალიდან ხელისგულივით ჩანს. ამიტომაც გადავწყვიტე, კიდევ ერთხელ გადამევლო თვალი ამ სანახებიდან დანახული ტურისტული მარშრუტისათვის.

ოცნებით ვტკბებოდი და, თითქოს, აგერ, აქვე, ჩემს თვალწინ ვხედავდი თუ როგორ დგანან უცხოელი ტურისტები ჩემს გვერდით და გაოცებულები გადაჰყურებდნენ ზღაპრულ ქვეყანას. მერე „ენგურის ზღვაზე“ კატარღებით სეირნობენ და მთლად „გადარეულები“ ეხვეწებიან ღმერთს, სიცოცხლეში კიდევ ერთხელ ეღირსოთ ამ საოცარი ქვეყნის ხილვა. სვანეთიდან დაბრუნებულებს კი, აღტაცებისგან კრიჭა აქვთ შეკრული!

...მაგრამ ჯერჯერობით ეს ოცნებაა მხოლოდ! და ამიტომ გადავწყვიტე, ზუგდიდში, „შპს. ენგურჰესის“ ოფისში მივსულვიყავი და ფინანსური დირექტორი ვალერი კანკია მენახა. მით უფრო, რომ ჩვენ ბევრჯერ გვისაუბრია ამ თემაზე!

მაგრამ ამჯერად, ჩვენი საუბარი სხვა „კალაპოტით“ წარიმართა!

— მოგეხსენება, რომ მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულში მომხდარი ეპოქალური ძვრებისა და საზოგადოებრივ ძალთა შეხლა-შემოხლის ვითარებაში, ვერ იცლიდნენ ვერც ახლის ასაშენებლად და ვერც ძველის შესანარჩუნებლად. მაგრამ ძირითადად სუბიექტური ფაქტორებით განპირობებულ ამ უარყოფით ტენდენციას, საბედნიეროდ, გამონაკლისიც ახლდა. კერძოდ, ეს ეხება საქართველოს ეკონომიკისთვის ისეთ სასიცოცხლო მნიშვნელობის გიგანტს, როგორიცაა ენგურჰესი. მისი სავსებით უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელი იყო, თუმცა 25-წლიანი ექსპლუატაციის შემდეგ, 2003 წლიდან პირველად დაიწყო ჰესის ჰიდროაგრეგატების, ელექტრო-მექანიკური მოწყობილობების, თაღოვანი კაშხლის და სადერევაციო გვირაბის სერიოზული რეაბილიტაციის ერთობ რთული და შრომატევადი პროცესები. 2006-2008 წლებში კი, სრული სიმძლავრით ამუშავდა №3, №2 და №4 ჰიდროაგრეგატები. დამზადდა, დამონტაჟდა და ამოქმედდა თაღოვანი კაშხლის ზედა ბიეფის მისაყრდნობი ფარი, განახლდა სატუმბი სადგურის, დისკური და სფერული საკეტების მართვის, საკუთარი მოხმარების ძალის, წყალმომარაგების დახრილი ფერდობის და ბეტონის სისტემები. კაპიტალურად შეკეთდა მთელი პერიოდის განმავლობაში სრულ ცვეთაზე მუშაობის შედეგად უმძიმეს მდგომარეობამდე მისული თაღოვანი კაშხლის №17, №18 და №19 წყალსაგდები ფარები, რითაც აღიკვეთა დიდი მოცულობით წყლის უქმად დაღვრისა და საერთოდ კაშხლის ექსპლუატაციის შეწყვეტის საშიშროება!...

ვალერი ოდნავ შეყოვნდა. კომპიუტერში, რომელიღაც მონაცემი გადაამოწმა და გააგრძელა.

— ჰოდა, საქმე ის არის, რომ შედეგიც შთამბეჭდავია! თუ რამდენიმე წლის წინათ ფრიად უსიამოვნო მსჯელობა შეეხებოდა ელექტროენერგიის წარმოების დეფიციტის აღმოფხვრას, ახლა დღის წესრიგში დადგა, რაც შეიძლება მეტი დატვირთვით საქმიანობის უზრუნველყოფა, რათა მაქსიმალურად გამოგვეყენებინა შემოდინებული წყლის მარაგი და ჰესის ტექნიკური შესაძლებლობა. ამჟამად უკვე განუწყვეტლივ უმჯობესდება მიწოდებული ელექტროენერგიის ხარისხი. მომხმარებლებს კარგად ემახსოვრებათ დენის ავარიული გამორთვები, რაც გარკვეულწილად ენგურჰესიდანაც ილებდა „დასაბამს“. თუ 2004 წლამდე ავარიისა და ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევები საშუალოდ წლიურად 110 ერთეულს აღემატებოდა, ბოლო წლებში ეს ხარვეზი პრაქტიკულად აღმოიფხვრა, ცენტრალური სადისპეტჩერო სამსახურის გრაფიკი 100 პროცენტით სრულდება, მიღწეულია 1220 მგვტ საწარმოო სიმძლავრის ათვისება საპროექტო 1300-ის პირობებში. 1989 წლიდან მოყოლებული, ახლა პირველად გახდა შესაძლებელი წლის პირველ ნახევარში გამოგვემუშავებინა ორი მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, მაშინ როდესაც უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ეს მონაცემი, საშუალოდ, ერთი მილიარდ ორას მილიონს არ აჭარბებდა.

— თუმცა, არც ორი მილიარდია ზღვარი...

— დიახ!... ისიც აღსანიშნავია, რომ გამომუშავებული ენერგიის დაახლოებით ოცი პროცენტის ექსპორტი ხორციელდება ოთხ მეზობელ ქვეყანაში, სახელდობრ რუსეთში, თურქეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში, გარდა ამისა, აფხაზეთის ტერიტორიაზე ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ვაწვდით წელიწადში მილიარდ ორას მილიონამდე კილოვატსაათს!...

— საერთოდ, დღე-ღამეში რამდენ კილოვატსაათ ენერგიას გამოიმუშავებს ენგურჰესი?

— მაგალითად, მიმდინარე წლის 12 ივლისს გამოიმუშავებდა 22 მილიონ ორასი ათასი კვტ.სთ!... შესაძლებელი იყო 24 მილიონიც... მაგრამ წლის პერიოდების შესაბამისად, რა თქმა უნდა, ყოველთვის ასე არ არის! ივლისის საშუალო გამომუშავება იყო 14 მილიონამდე კვტ.სთ დღეღამეში! ხოლო დღეის მდგომარეობით იგი შეადგენს 18-19 მლნ.კვტ.სთ. სამწუხარო ის არის, რომ შემოდენილ წყალს მთლიანად ვერ ვამუშავებთ და ვღვრით, რადგან მოთხოვნა არ არის ელექტროენერგიაზე. ზოგჯერ კი წყლის შემოდენა ისეთია, რომ კაშხალს ერთგვარ პრობლემებსაც უქმნის!... თუ მომხმარებელი იქნება, ენგურჰესს შეუძლია წელიწადში 4 მილიარდამდე კვტ.სთ. ელექტროენერგია გამოიმუშავოს. ეს კი, რესპუბლიკაში დასახარჯი ოდენობის თითქმის ნახევარზე მეტია... ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შინა და გარე ბაზრების მეტი მოთხოვნების პირობებში შეგვეძლო წლის პირველ ნახევარში დამატებით გვეწარმოებინა 730 მილიონი კილოვატი ელექტროენერგია და მაშინ, უქმად არ დაიღვრებოდა ყველაზე იაფი ელექტროენერგიის მწარმოებელი 809 მილიონი კუბური მეტრი წყალი! და მაინც, გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყნის უდიდესი ელექტროსადგური წარმატებულად წყვეტს მის წინაშე მდგომ ამოცანებს, დასახული გეგმის შესაბამისად უმჯობესდება მისი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, შინ და გარეთ მომხმარებელს შეუფერხებლად მიეწოდება იაფი და მაღალხარისხოვანი ენერგია, რაც მეტ სინათლესა და ძალას ნიშნავს. ეს მიღწევები შეუმჩნეველი არ დარჩენია მართვისა და სტანდარტების შემფასებელ საერთაშორისო კონვენციას, რომელიც მსოფლიოს 173 ქვეყნის ეროვნულ ორგანიზაციებს აერთიანებს და მოწოდებულია განაზოგადოს და განავრცოს მიღწეული სიკეთენი და მომსახურებანი, გააღრმაოს ურთიერთთანამშრომლობა სამეცნიერო-ტექნიკურ და ეკონომიკურ საქმიანობაში. სწორედ ამ კონვენციამ 2008 წლის მარტში ენგურჰესს მიანიჭა საერთაშორისო ხარისხის პირველი რანგის ოქროს ჯილდო, მაგრამ სულ ახლახან, კიდევ უფრო სასიხარულო ამბავი შევიტყვეთ, — 2010 წელს საწარმო წარდგენილია საერთაშორისო ხარისხის პლატინის კატეგორიის ჯილდოზე!

...საუბარი „შპს ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ ლევან მებონიას კაბინეტში გავაგრძელეთ.

სულ რაღაც, ოციოდე წუთის წინ ჩამოსულიყო პირდაპირ ენგურჰესიდან!

— საქმე ის არის, რომ წარმატებები და თავმოსაწონი გვაქვს, მაგრამ... — აქტიურად ჩაერთო საუბარში ბატონი ლევანი და მე მივხვდი, — საქმე, საქმე იყო მათთვის მთავარი!

— ენერგოგიგანტის სრული სიმძლავრით დატვირთვა თავისთავად აყენებს საკითხს მისი აგრეგატებიდან გადმომდინარ წყალზე მომუშავე №1 ვარდნილჰესის წყალსატარი ჰიდრო-ტექნიკური კონსტრუქციებისა და გამყვანი არხის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების შესახებ. ისინი დიდი ხანია ავარიულ მდგომარეობაშია და საშუალო დატვირთვის პირობებშიც კი, ვერ უზრუნველყოფს მთავარი ჰესის მიერ დამუშავებული წყლის უსაფრთხოდ გატარებას. ამიტომაც მიღებულია სამთავრობო გადაწყვეტილება განახლების მეორე ეტაპის დასაწყებად. იგი მოიცავს ენგურჰესის №1 და №5 აგრეგატების სრულ რეაბილიტაციას, №1 ვარდნილჰესის გრავიტაციული კაშხლის მონიტორინგის სისტემის, სიღრმული და უქმი წყალსაგდებებისა და გამყვანი არხის განახლებას, ჰიდრომექანიკური სამუშაოების ჩატარებას. ამ ღონისძიებათა დასაფინანსებლად მზადყოფნა გამოთქვეს ევროპის საინვესტიციო ბანკმა და ევროკავშირის კომისიამ. მათთან საფინანსო-საგარანტიო ხელშეკრულებების გაფორმება მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში იგეგმება. სავარაუდოდ სამუშაოებს შეასრულებს გერმანული კომპანია VOITH HYDRO, რომელმაც 2004-2009 წლებში წარმატებით განახორციელა სამი აგრეგატის რეაბილიტაცია. სამუშაოების წარმოება განსაზღვრულია 2011-2013 წლებში. ამის შემდეგ საიმედოდ გამართული ელექტროსადგური საგრძნობლად შეამცირებს საექსპლუატაციო ხარჯებს. არადა, ახლა, როდესაც ლაპარაკია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, ჩვენი მოსახლეობის დასაქმების არსებით გაუმჯობესებაზე, მტკიცე ენერგეტიკული ბაზის გარეშე შორს ვერ წავალთ. ამასთან, ათობით კვადრატულ კილომეტრზე გადაშლილ ენგურჰესის უნიკალური სანახებსა და აქ არსებულ ინფრასტრუქტურას კეთილმოწყობა ესაჭიროება და მას ფასდაუდებელი წვლილის შეტანა ძალუძს ახალი ტურისტული მარშრუტების ამოქმედებაში... სიტყვას აღარ გავაგრძელებთ იმ როლსა და მნიშვნელობაზე, რომელიც ამ ენერგოგიგანტს, ბუნებრივია, აკისრია ირგვლივ მცხოვრები ხალხების ისტორიულად ჩამოყალიბებული მეგობრობის აღორძინებასა და განმტკიცებაში.

— მართლაც მეტად სასიამოვნო და საინტერესო ამბები მოვისმინე თქვენგან, თუმცა, აქეთ რომ მოვდიოდი, ტურისტულ გეგმებზე სასაუბროდ მოვდიოდი, მაგრამ... ენგურჰესის ტურისტულ მარშრუტებზე და მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მნიშვნელობაზე მოგვიანებით ვისაუბროთ... ენგურჰესი ხომ ქართველთა და აფხაზთა თეთრი ხიდია და, როგორც ვიცი, ამ ხიდზე, გაღმა მხარიდანაც სიხარულით აპირებენ გადმოსვლას ჩვენი ძმები!

**ზაურ ფიფია,**
**„სრ“ სპეც. კორ.**

◎ ინფორმაცია

## სარკინიგზო ტარიფები შეათანხმეს

**უკრაინის**, საქართველოს, ყაზახეთისა და აზერბაიჯანის რკინიგზის ადმინისტრაციებმა 2010 წლის მეორე ნახევრისთვის შეათანხმეს ტარიფები და დააწესეს ფასდათმობები მძიმეწონიანი უნივერსალური კონტეინერების „ტრასეკას“ საერთაშორისო კორიდორით ტრანსპორტირებაზე.

შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთიანი კონკურენტული ტარიფების შემუშავების სამუშაო ჯგუფის სხდომაზე, რომელიც საერთაშორისო სატრანსპორტო კორიდორით ევროპა-კავკასია-აზია-„ტრასეკა“-ტვირთების ტრანსპორტირებას ითვალისწინებს.

სამუშაო ჯგუფების სხდომაში მონაწილეობა მიიღეს შესაბამისი ქვეყნების რკინიგზების, საზღვაო ადმინისტრაციებისა და პორტების წარმომადგენლებმა.

## სეპარატისტებმა ჯერ ნიკარაგუა მოინახულეს შემდეგ ვენესუელასაც ეწვევიან

**აფხაზეთის** სეპარატისტული რეჟიმის ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა ნიკარაგუაში ვიზიტის ფარგლებში ქვეყნის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელებთან შეხვედრა გამართა.

ამის შესახებ ინფორმაციას „ინტერფაქსი“ ბაღაფშის პრეს-სპიკერზე კრისტიან ბჟანიაზე დაყრდნობით ავრცელებს.

ბჟანიას თქმით, „ნიკარაგუაში ვიზიტის ფარგლებში არ იგეგმება სამხედრო თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება“.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთის და ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმების ლიდერები ნიკარაგუაში ვიზიტით იმყოფებიან, საიდანაც სერგეი ბაღაფში და ედუარდ კოკოითი ვენესუელაში გაემგზავრებიან.

## გაუმარჯოს ნიკარაგუას! გაუმარჯოს დანიელ ორტეგას!

**ნიკარაგუაში** ჩასულმა აფხაზ და ოს სეპარატისტთა ლიდერებმა სერგეი ბაღაფშმა და ედუარდ კოკოითმა ნიკარაგუას პრეზიდენტს დანიელ ორტეგას მანაგუაში გამართულ მიტინგზე სიტყვით გამოსვლისას მათი დამოუკიდებლობის აღიარებისათვის მადლობა გადაუხადეს. მიტინგი, აფხაზური მხარის ინფორმაციით, სანდინისტური რევოლუციის 31-ე წლისთავისადმი იყო მიძღვნილი.

— ორტეგამ მიტინგზე პირადად გადასცა სიტყვა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ლიდერებს. სერგეი ბაღაფშმა და ედუარდ კოკოითმა კი სიტყვით გამოსვლისას ნიკარაგუელ ხალხს „მამაცი„ ხალხი უწოდეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების მიღებისათვის, — იუწყება აფხაზური მხარე.

— ჩვენ მშვიდობა გვინდა, ისევე როგორც ნიკარაგუელებს, მაგრამ ჩვენ, ისევე როგორც ოდესღაც თქვენ, იძულებული გაგვხადეს იარაღისათვის მოგვეკიდა ხელი... — განაცხადა სიტყვით გამოსვლისას ოს სეპარატისტთა ლიდერმა ედუარდ კოკოითმა.

სეპარატისტული აფხაზეთის ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა კი თავისი სიტყვა მიტინგზე დაასრულა სიტყვებით „გაუმარჯოს ნიკარაგუას! გაუმარჯოს დანიელ ორტეგას!“.

ჯი-ეიჩ-ენ

## ◉ აკვიატება

***ამ ჩვენს ქარიზმატულ პრეზიდენტს, ბევრ სხვა უცნაურობასთან ერთად, სხვა ქვეყნების მეთაურებისგან კიდევ ერთი სასიკეთო თვისება გამოარჩევს. ბატონი მიხეილ სააკაშვილი სადაც არ უნდა იყოს, ვისთანაც არ უნდა იყოს და რა საკითხებზეც არ უნდა საუბრობდეს, ორ სიტყვას იტყვის თუ არა, მაშინვე აკვიატებულივით გამჭვირვალობას მიახტება. ტრაბახობს და ტრაბახობს: საქართველოსთანა გამჭვირვალე ქვეყანა მსოფლიოში არ მოიძებნებაო, ხელისუფლებაც წყაროს წყალივით გამჭვირვალე გვაქვს, ეკონომიკაც და რეფორმებიცო, პოლიცია რომ პოლიციაა, ისიც კი ისეთ გამჭვირვალე ოფისებში საქმიანობს, ხალხს მასში ბუზის ბზუილიც არ გამოეპარებაო. მართალია, თავად პოლიციელები უხერხულობისგან იშმუშნებიან (შენობა ისეთი გამჭვირვალეა, ტუალეტში ვერ შევსულვართო), მაგრამ მათი გასაჭირი რა ანგარიშგასაწევია, როცა ქვეყნის თავკაცობა ასეთი უჩვეულო რეალობით ფრიად კმაყოფილი და აღფრთოვანებულია.***

# „გამჭვირვალე“ ხელისუფლება და „მხიარული“ სტატისტიკა,

### ანუ რა კარგია სიცილი, რომ არ გვეტირებოდეს



რადგან გამჭვირვალობის საჭოჭმანო თემას წავეპოტინე, თავს მოვალედ ვთვლი, ორიოდე სიტყვით ახლახან თბილისში, მტკვარზე გადებული შუშის ხიდის თაობაზე ატეხილ აჟიოტაჟსაც შევეხო და ამასთან დაკავშირებული გაუგებრობის გაფანტვა ვცადო. რა დასამალია, ბევრმა ვერ აღიქვა, რატომ აიჩემა პრეზიდენტმა სააკაშვილმა მაინცდამაინც აქ, საკუთარი რეზიდენციის ცხვირწინ მაინცდამაინც შუშის ხიდის აგება და არა ძველკომუნისტური რკინა-ბეტონისა? ნუთუ ვერ ხვდებით, დემოკრატიის აუცილებელ ატრიბუტს – გამჭვირვალობას სცა უპირველესი პატივი, ბატონებო და იმიტომ. იმ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი გამჭვირვალეა (ბიზნესის ძარცვა, კორუფცია, პოლიტიკური და რეფორმატორული პროსტიტუცია და ა. შ.), რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, ხიდიც აუცილებლად გამჭვირვალე, შუშისა უნდა ყოფილიყო. მართალია, მსოფლიოს უპირველესი დემოკრატი ქვეყნის პირველმა დიპლომატმა ქალბატონმა ჰილარი კლინტონმა თბილისის დათვალიერებისას უძველესი მეტეხის ხიდი ფეხით ისე გადასერა, „მშვიდობის ხიდისკენ“ არცკი გაუხედავს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მიშას საზღვარგარეთულ რეიტინგთან ერთად შუშის ხიდის სამთავრობო რეიტინგიც დაეცა(!).

ცალკე შექებას იმსახურებს ეგრეთ წოდებული „საქსტატად“ მონათლული საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი, რომელიც სახელმწიფოდან გამოყოფისა და დამოუკიდებელ სტრუქტურად ჩამოყალიბების შემდეგ იმდენად გამჭვირვალე გახდა საზოგადოებისთვის, რომ მარტო გამჭვირვალობა არ იკმარა და ამ უკანასკნელის გამხიარულების ფუნქციაც იტვირთა. ლაპარაკია ბოლო პერიოდში სტატისტიკურ მონაცემებზე, რომლებიც ხსენებულმა დეპარტამენტმა ფართო საზოგადოებრიობას შესთავაზა.

„საქსტატის“ ინფორმაციას თუ დავუჯერებთ, წლეულს ივნისში, წინა თვესთან შედარებით, 5,3 პროცენტით გაძვირდა ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, სხვადასხვა საქონელი და მომსახურება, ავეჯი, საოჯახო ნივთები – 0,8 პროცენტით, კომუნალური და სხვა გადასახადები – 0,7 პროცენტით, ტრანსპორტი – 0,3 პროცენტით. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ერთადერთი პროდუქტი, რომელიც ამ პერიოდში გაიაფდა, სურსათი და ალკოჰოლური სასმელებია, რომლებზეც ფასი, წინა თვესთან შედარებით თურმე 2,5 პროცენტით შემცირდა. უცვლელია ფასები ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე, კავშირგაბმულობასა და სასტუმროების მომსახურებაზე.

თუ ყველაფერი გაძვირდა, თქვე მამაცხონებულებო, აბა სამხიარულო რაღა გვაქვსო, იკითხავს, ცოტა არ იყოს, შეცბუნებული მკითხველი. თქვენ წარმოიდგინეთ, თურმე გვაქვს. იმის მიუხედავად, რომ ფასები ყველაფერზე ყოველდღიურად მატულობს, მათ შორის სურსათზეც (ბრმა უნდა იყო, რომ კაცმა ეს ვერ დაინახო), თურმე ამის პარალელურად ინფლაცია კიდევ კლებულობს. „საქსტატი“ დაბეჯითებით „გვიმტკიცებს“, წლეულს ივნისში, წინა თვესთან შედარებით, მინუს 0,3-პროცენტიანი ინფლაცია, ანუ დეფლაცია დაფიქსირდაო(!), აქედან გამომდინარე, შემცირებულია ინფლაციის მაჩვენებლები როგორც წინა წლის დეკემბერთან, ისე, ივნისთან შედარებით, შესაბამისად, 2,0 და 3,7 პროცენტითო...

მოდი და ასეთი გამჭვირვალე ტყუილის შემდეგ ნუ გამხიარულდები. მართალია ივლისში, ლარის მკვეთრი გაუფასურების გამო, ყველა სახის იმპორტული პროდუქტი გაძვირდა (დაახლოებით 5-15 პროცენტით), რამაც შემდეგ ადგილობრივი პროდუქციის გაძვირებაც გამოიწვია, მაგრამ „საქსტატი“ იმის ჩიტია, ბრწყინვალედ ჩატარებული არჩევნების შემდეგ უარყოფითი ციფრებით ხალხს განწყობა გაუფუჭოს? იგი მაშინაც „ზრუნავდა“ ჩვენს კეთილდღეობაზე, როცა სახელმწიფო სტრუქტურა იყო და ამჟამადაც, როცა დამოუკიდებელი გახდა, ვერ წარმოუდგენია, ზემდგომებისადმი მაამებლობის ერთხელ აღებულ გეზს რა მეთოდებითა და საშუალებებით გადაუხვიოს!

ამაზე ალბათ თავად ხელისუფლებამ უნდა იფიქროს. ციფრებს, რა თქმა უნდა, არაფერი ეშველება, მაგრამ დეპარტამენტის ოფისი კი აუცილებლად უნდა შეიცვალოს. მისთვის სასწრაფოდ უნდა აიგოს ულტრათანამედროვე ტიპის ღია, გამჭვირვალე შენობა ან, გამონაკლის შემთხვევაში საბურთალოში, „საქსტატის“ გადასწვრივ, მტკვარზე, დამატებით კიდევ ერთი ახალი შუშის ხიდი გაიდოს. აბა, როგორ, ნაღდი გამჭვირვალობა თუ გვინდა, მთავრობა ხარჯებს არ უნდა მოერიდოს!

**ოთარ ხუციშვილი**

## ◉ საშვილიშვილო წიგნი

***ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენს საზოგადოებრივ (თუ ამ ცნებას „შევავიწროვებთ“) ინტელექტუალურ ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა: გამოვიდა ფუნდამენტური, დიდი სიგრძე-სიგანის მქონე წიგნი „საქართველოს ისტორიის ატლასი“.***

***ეს ისეთი ნაშრომია, რომელიც უნდა იდოს სამეცნიერო, „სასულიერო“, გაპოლიტიკურებულ დაწესებულებებსა თუ ორგანიზაციებში: პარლამენტში, სამინისტროებში, ინსტიტუტებში, სასწავლებლებში, პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების ოფისებში, აგრეთვე ოჯახებშიც; უნდა იდოს, მაგრამ ბევრგან არ დევს...***

***რატომ არ „ჩანს“ და არ „გაისმის“ ეს მართლაც საშვილიშვილო წიგნი (ქვემოთ „ატლასად“ მოხსენიებული), რა ბედი ეწია მასა და მის ტირაჟს? – ამის გასარკვევად ჩვენს ისტორიული გეოგრაფიის გამოჩენილ სპეციალისტს, ნაშრომის მთავარ რედაქტორს, აკადემიკოს დავით მუსხელიშვილს ვეწვიეთ.***

# გარეთ ატლასი, შიგნით – ათასი...

### რატომ „დააპატიმრეს“ და არ გაყიდეს ერთობ საჭირო წიგნის მნიშვნელოვანი ნაწილი?

**– ბატონო დავით, როგორ იქმნებოდა „ატლასი“, საიდან იწყება მისი ბიოგრაფია?..**

– მოდით, ჯერ საქართველოში ისტორიული გეოგრაფიის, როგორც დარგის ფესვები მოვჩხრიკოთ.

ამ სახელწოდების განყოფილება ნიკო ბერძენიშვილმა ჯერ კიდევ 1950-იან წლებში ჩამოაყალიბა ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში. განყოფილების ძირითადი დანიშნულება იყო საველე ექსპედიციებით ქვეყნის ყველა კუთხე-ხეობის შესწავლა ყოველი მატერიალური ძეგლის აღსარიცხავად (იქნებოდა ეს ნამონასტრევი, ნაეკლესიარი, ნაციხარი, ძველი ნასოფლარი თუ ნაქალაქარი).

ამ მეთოდითა და, რასაკვირველია, ისტორიული პირველწყაროების მოხმობით უნდა დადგენილიყო საქართველოს ისტორიული საზღვრები სხვადასხვა ეპოქის მიხედვით, აგრეთვე ძველი საქართველოს შემადგენელ ისტორიულ მხარეთა საზღვრებიც – მათი პოლიტიკური თუ საეკლესიო ცენტრებით. ანუ უნდა შეგვესწავლა ქვეყნის ტერიტორიული სტრუქტურა სხვადასხვა ეპოქაში და მისი ცვლილება ისტორიულ პროცესში.




**– მგონი, მივუახლოვდით უშუალოდ „ატლასს“...**

– დიახ, ეს ყველაფერი უნდა გამოხატულიყო მთელი საქართველოსა და მისი შემადგენელი მხარეების ამსახველ რუკებზე, ანუ უნდა შექმნილიყო საქართველოს ისტორიის ატლასი. ეს გახლდათ ერთობ შრომატევადი, მრავალწლიანი კაბინეტური და საველე მეცნიერული სამუშაო, რომელიც შესრულდა კიდევაც და 1980-იან წლებში ატლასი მზად იყო.

დასანანია, რომ მაშინ მისი დაბეჭდვა ვერ მოხერხდა, თუმცა ობიექტური მიზეზებით. ეს მით უფრო შეუძლებელი გახდა არეულ და შფოთიან 1990-იან წლებში. ატლასი დაისტამბა მხოლოდ 2003-ში მთავრობის მიერ აკადემიისათვის სპეციალურად გამოყოფილი სახსრებით.

**– თქვენ, როგორც ატლასის „მამობილი“, როგორ დაუხასიათებდით, როგორ წარუდგენდით თქვენგან და თქვენი სახელოვანი კოლექტივისგან ამდენ ხანს ნაფერებ-ნალოლიავებ პირმშოს ჩვენი გაზეთის მასობრივ მკითხველს?**

– „საქართველოს ისტორიის ატლასი“ მთელს პოსტსაბჭოურ სივრცეში პირველია და საერთოდაც უნიკალური: ის შეიცავს 69 რუკას ისტორიულ ძეგლთა ფოტოილუსტრაციებითურთ, აგრეთვე ერთ ტაბულას, სადაც თავმოყრილია ფეოდალური საქართველოს მხარეთა გერბები ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით. ატლასმა ქრონოლოგიურად ასახა ისტორიული ვითარება საქართველოში ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან დღევანდლამდე.

გარდა ამისა, მიზანშეწონილად ვცანით, რომ ატლასში დოკუმენტურ მასალად ჩაგვერთო ჩვენს ქვეყანაში მყოფი რუსი სამხედრო მოხელის, პოლკოვნიკ ს. ბურნაშოვის შედგენილი „საქართველოს რუკა“ (1784 წ.), აგრეთვე „კავკასიის მხარის რუკა“ 1799 წლის საზღვრების აღნიშვნით, შედგენილი 1899-ში კავკასიის სამხედრო ოლქის ისტორიის განყოფილებაში.

**– ბატონო დავით, მართლაც რომ არაორდინალურ ნაშრომზე გვიამბობთ, ეს უკვე ნათლად გამოჩნდა...**

– მაგრამ ჯერ ყველაფერი არ გვითქვამს. საერთოდ, ქვეყნების ისტორიის ატლასებში, როგორც წესი, თავს უყრიან ხოლმე მხოლოდ ამა თუ იმ ეპოქის შესატყვისი პოლიტიკური სიტუაციის ამსახველ რუკებს, უკეთეს შემთხვევაში მოკლე ისტორიული კომენტარებით.

„საქართველოს ისტორიის ატლასი“ კი ფაქტობრივად გახლავთ დოკუმენტირებული პუბლიკაცია: მას ახლავს „განმარტებითი ტექსტი“, რომელშიც შეძლებისდაგვარად ყველა ძირითად პირველწყაროზე მითითებით დასაბუთებულია თითოეულ რუკაზე ასახული პოლიტიკური სურათი.

ასე რომ, საბოლოო ჯამში, ჩვენი „ატლასი“ გამოხატავს საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის პოლიტიკური ცვლილების პროცესს უძველესი პერიოდიდან დღემდე.

კიდევ ერთხელ ვიტყვი: რამდენადაც ვიცი, ეს გახლავთ მსოფლიო მასშტაბით უნიკალური შემთხვევა ამგვარი ატლასების გამოცემისა.

**– როგორც მახსოვს „საქართველოს ისტორიის ატლასის“ გამოსვლისას თქვენ ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი ბრძანდებოდით. როგორი ვითარება შეიქმნა გამოცემის გარშემო?**

– ნაშრომს კარგი რეცენზიები ხვდა. წიგნი დაისტამბა 3000-იანი ტირაჟით, საცალო ფასი იყო 70 ლარი. გაიყიდა ტირაჟის გარკვეული ნაწილი და ინსტიტუტში საკმაო თანხაც შემოვიდა. 2006-ში ინსტიტუტის ხელმძღვანელობა შეიცვალა და მერე რატომღაც შეწყდა გაყიდვა, რაც ჩვენი საზოგადოებისთვის საგრძნობი დანაკლისია; არადა, „ატლასზე“ მოთხოვნილება დიდი იყო და ახლაც არის, ჩემთვის გაუგებარია, რატომ დარჩა ტირაჟი მნიშვნელოვანი ნაწილი გაუყიდავი და „დაპატიმრებული“. რატომ აღარ შემოდის თანხა. ეგეც რომ არა, ისტორიის ატლასი ხომ ყველა კულტურულ ქვეყანას სჭირდება.

**– ბატონო დავით, როგორც ვხვდები, საქართველოს გარშემო არსებულ ამჟამინდელ პოლიტიკურ სიტუაციაშიც შეასრულებდა განსაკუთრებულ როლს „ატლასის“ გავრცელება, რასაკვირველია, ჩვენთვის სასარგებლოდ...**

– ეს დიდად სასარგებლო იქნებოდა სეპარატისტული რეჟიმების ტერიტორიული პრეტენზიების გასაბათილებლად და ისტორიული სიმართლის განსამტკიცებლად: „ატლასიდან“ ხომ ჩანს, „ატლასში“ ხომ დოკუმენტირებულადაა დასაბუთებული, რომ მიტაცებული ტერიტორიები ძირძველი ქართული იყო და არის.

„საქართველოს ისტორიული ატლასი“ ჩვენს პოლიტიკოსებს ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევდა სათანადო უცხოური ორგანიზაციებისა თუ სტრუქტურების გასაცნობიერებლადაც.

**...გავიზიაროთ აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის ეს მოსაზრება და ვისურვოთ „ატლასის“ გაყიდული და არგაყიდული ტირაჟის გამოჩენა...**

**თამაზ ებანოიძე**

## ◉ ინფორმაცია

### ლიტველი საქართველოში ყალბ დოკუმენტებს ამზადებდა

**გადასახადებისათვის თავის არიდების მიზნით გამოწერილი ყალბი საგადასახადო დოკუმენტაციის დამზადებისა და გასაღებისათვის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ლიტვის მოქალაქე, საქართველოში დარეგისტრირებული შპს „აზარტოტეხის“ დამფუძნებელი და დირექტორი ბენიამინას იანუშაიტისი, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა უცხოეთიდან საქართველოში სათამაშო აპარატების, კერძოდ, სლოტ-აპარატების შემოტანა და სხვადასხვა მეწარმეებზე გაქირავება.**

**სამართალდამცველებისათვის ცნობილი გახდა, რომ ბიზნესმენი გადასახადებისათვის თავის არიდების მიზნით სლოტ-აპარატების იჯარის ღირებულების მონაცემებს სპეციალურად ამცირებდა.**

**ბენიამინას იანუშაიტისი მაშინ დააკავეს, როცა მან ერთ-ერთ მეწარმეს გამოუწერა ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები, რომლებშიც სლოტ-აპარატების იჯარის რეალური ღირებულების – 4046 ლარის ნაცვლად დაუფიქსირა 640 ლარი. ე.წ. „გასამრჯელოს“ სახით კი მისგან 1800 ლარი აიღო.**

ᲮᲘ-ᲔᲘᲩ-ᲔᲜᲘ

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# და ექნებათ ქართველებს ბედნიერება 70 წლის შემდეგ

**საქართველო ჰყიდის სიკეთის უკანასკნელ ნარჩენებს, რომლებიც მოიპოვა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. რასაკვირველია, არა კარგი ცხოვრების, არამედ დიდი გაჭირვების გამო. საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობა არ არის სასიკვდილო, მაგრამ იგი იმდენად დაძაბუნდა, რომ დროა მივუწიოთ ინვალიდის სავარძელი**

უახლოეს პერიოდში გასაყიდად გამოიტანენ მაგისტრალურ გაზსადენს მოსკოვი-თბილისი-ერევანი. თავის რიგს ელოდება გემრიელი ლოტი – საჰაერო სივრცის აერონავიგაციისა და კონტროლის რესპუბლიკური სამსახური. ციდან დედამიწაზე დავეშვათ: საქართველოს ხელისუფლება არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ აუქციონზე გამოტანილი იქნება რკინიგზაც.

შევნიშნავთ, რომ სახელმწიფო საკუთრების ეს ობიექტები შეტანილია ეროვნული ღირსების სიაში სტატუსით – სტრატეგიული. თავდაპირველად ამ სიაში შედიოდა ასობით საწარმო, ორგანიზაცია და დაწესებულება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ფუნქციებით, დიდი მიწის ნაკვეთებით, სოლიდური შენობებითა და ნაგებობებით, განვითარებული ინფრასტრუქტურით. მათი პრივატიზაციის საკითხის განხილვაც კი უხერხული იყო, თუნდაც თეორიული თვალსაზრისით.

მაგრამ „ვარდების რევოლუციამ“, რომლის ბელადებიც ცდილობენ ამოიყვანონ საქართველო „საბჭოთა ფეოდალიზმიდან“, მათი ტერმინოლოგიით, და შეუერთონ ევროპული ცივილიზაციის სამოთხეს, წააწყდა გადაულახავ წინააღმდეგობას. კავკასიური სადღეგრძელო იმის შესახებ, რომ სურვილი ემთხვეოდეს შესაძლებლობას, არავის გაუუქმებია. შესაშური სწრაფვა თავდაპირველად იწვევდა არა მხოლოდ დასავლელი მფარველების თანაგრძნობას, არამედ საგრძნობ საფინანსო დახმარებასაც. კარდინალური რეფორმებისთვის სასტარტო შესაძლებლობანი უზრუნველყოფილი იქნა ყველაფრისა და ყოველივეს რადიკალური პრივატიზაციით. ქართველმა ბიზნესმენებმა, რომელთა თავდაპირველი კაპიტალი თავს იყრიდა რუსეთის მგზნებარე ხის წლებში, შეისყიდეს ყველაფერი თითქმის მუქთად. შევარდნაძის ეპოქა ტოტალური კორუფციითა და საქართველოს გაურკვეველი პოლიტიკური მომავლით აფრთხობდა ბევრ მათგანს.

უდარდელი რუსები, როგორც ყოველთვის, აღმოჩნდნენ ყველაზე წინ და არც წაუგიათ. რუსული კაპიტალი ამჟამად ბატონობს ასეულობით ქართულ ფირმასა და კომპანიაში. დაწყებული ენერგეტიკული სექტორით, სამთომრეწველობით და დამთავრებული მინერალური სასუქებითა და გადამუშავებული სოფლის მეურნეობის პროდუქტებით. „სააკაშვილის ერის“ დადგომასთან ერთად საქართველოსკენ წამოვიდნენ სხვა ინვესტორებიც. ყიდულობდნენ ყველაფერს, თანაც მათთვის მიმზიდველი იყო უპირატესად ადგილობრივი იაფი სამუშაო ძალა, მსუბუქი საგადასახადო სისტემა და სხვა პრეფერენციები.

ცნობილი მსოფლიო ბრენდი სპორტული ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის დარგში „პუმა“ აპირებს გადაიტანოს თავისი ფაბრიკები თურქეთიდან საქართველოში. როგორც ბათუმის კომპანია „აჭარა ტექსილის“ მენეჯმენტში აცხადებენ, თურქი მეპატრონეები აპირებენ გადმოვიდნენ საქართველოში 3-4 თვის შემდეგ. ძირითად მოტივად ასახელებენ იაფ ადგილობრივ სამუშაო ძალას. ბათუმში ფაბრიკაში 620 კაცი მუშაობს. მათი საშუალო ყოველთვიური ხელფასი არ აჭარბებს 130 დოლარს. ეს გაცილებით ნაკლებია, ვიდრე თურქი კოლეგებისა. ახალი მფარველები შეიძინეს არა მხოლოდ საბჭოთა, არამედ მეფისდროინდელი წარსულის ობიექტებმაც. მაგალითად, მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკმა ქვეყნის დედაქალაქში ცნობილი ფუნიკულიორით.



ვაი რომ, ინვესტიციებმა, რომელთა თანხობრივი ოდენობა ასეულობით მილიარდი დოლარია, ვერ მიგვიყვანა საქართველოს აყვავებამდე, რასაც უნდა დავლოდებოდით. ძირითადად ეს სახსრები კონცენტრირებულია საბანკო და საფინანსო სექტორებში. რეალურ წარმოებაში ცოტა ფული ბანდდებოდა. როგორც, მაგალითად, გერმანელებმა გააკეთეს, რომლებმაც ქალაქებში რუსთავსა და კასპში დააყენეს თავიანთი სექონდ-ჰენდოური მოწყობილობა და მოაწესრიგეს ცემენტის წარმოება. ეს ქარხნები ყვაოდნენ კრიზისამდელი მშენებლობის ბუმის დროს, მაგრამ ამჟამად გადააწყდნენ სერიოზულ პრობლემებს.

გასული ექვსი წლის განმავლობაში სააკაშვილის გუნდმა ვერ შეძლო გადაეწყვიტა საქართველოს ეკონომიკის მთავარი პრობლემები, შეემცირებინა მასობრივი უმუშევრობის სიმწვავე, აემაღლებინა მოსახლეობის ცხოვრების დონე და ხარისხი. საკუთარი სახსრები სრულიად არასაკმარისი აღმოჩნდა. საქართველო იძულებული იყო შემძვრალიყო ვალებში, თანაც დიდ ვალებში. თუ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლამდე სესხები შეადგენდა 1,8 მილიარდ დოლარს, ამჟამად ერთობლივი ვალის ოდენობა ასტრონომიულ დონეს მიაღწია ამ ერთი ციცქნა რესპუბლიკისთვის – 8,790 მილიარდ დოლარს.

მათ გასტუმრებას საქართველო ვერასოდეს ვერ შეძლებს. ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსი გამაოგნებელი უარყოფითი სალდოთი არავითარ შანსს არ იძლევა ამისთვის. ქვეყანა აწარმოებს საქონლის იმპორტირებას სულ ცოტა 3-ჯერ მეტად, ვიდრე ექსპორტს. ქვეყანა იბრძვის როგორც ჩიტი გალიაში, მაგრამ პერსპექტივები სამწუხაროა. თუმცა, ასე თუ ისე, მაინც ცოცხლობს.

საქართველოს მოსახლეობის ძირითადი მასა ნახევრად შიმშილობს ანდა ცხოვრობს ნათესავებისა და ახლობლების მიერ გამოგზავნილი ფულადი გზავნილებით, რომლებიც უცხოეთში არიან წასული ფულის საშოვნად.

საქართველოში უკვე დიდი ხანია ლიკვიდირებულია ადრე ღარიბებისთვისაც კი ხელმისაწვდომი მედიცინა, განათლება, საცხოვრებელი ბინები და სხვა სოციალური სიკეთეები. მაგრამ ქართველი რეფორმატორების ოპტიმიზმი ამოუწურავია, ისინი დაუღალავად ამტკიცებენ წარმოუდგენელ წარმატებებს ქვეყნისა, რომელიც ლამის მთელ პლანეტას უსწრებს ყველაფერში. თუ დღეს არა და ამ წუთში არა, ხვალ ან ზეგ აუცილებლად. აი ცოტაც კიდევ, კიდევ ცოტა და ყველა ბედნიერი იქნება.

**ალბერტ ბენალაინელი**

РОСБАЛТ

## დედამიწის ზურგზე



**ისრაელმა წარმატებით გამოსცადა მცირე და საშუალო სიშორის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა**

სისტემა „რკინის თაღს“ შეუძლია გადაიტაცოს უმარტივესი რეაქტიული ჭურვები, რაც შეადგენს პალესტინელი და ლიბანელი ბოევიკების არსენალის საფუძველს. სამხედროებს იმედი აქვთ, რომ „თაღი“ გახდება ადეკვატური პასუხი „კასამისა“ და „კატიუშის“ ტიპის მცირე სიშორის რეაქტიულ იარაღზე.

* * *

**ნავთობის ახალი გადინება მექსიკის ყურეში გამოაცხადეს „ბუნებრივად“**

ბრიტანულმა კომპანია „ბიპიმ“ განაცხადა, რომ ნავთობის ახალი გადინება, რომელიც აღმოაჩინეს მექსიკის ყურეში, არ არის დაკავშირებული საბურღი პლატფორმის ავარიასთან, რომელიც აპრილში მოხდა. ამ დროს ავარიულ საბურღზე დაყენებულ ჩამხშობზე შეინიშნება ანომალიები.

* * *

**ბოსნიის მცხოვრებმა „გაალიზიანა უცხო პლანეტელები“: მის სახლში ჩამოცვივდა მეტეორიტები**

იმის მიუხედავად, რომ მეტეორიტების ჩამოცვენის საალბათო ობიექტად ძნელად რომ იქნეს მიჩნეული რადივ ლაიჩის სახლი, ეს ამბავი აქ უკვე მეექვსედ მოხდა. ერთ-ერთი ქვა ბოსნიელმა გაყიდა, რომ სახურავი შეაკეთოს, ეზოში კი მუზეუმის მოწყობას აპირებს.



---

**საქმე №2-150-09 წ.**

# განჩინება
# საქართველოს სახელით
## დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ

**17 მაისი 2010 წელი** **ქ. ახალციხე**

### ახალციხის რაიონული სასამართლო

**მოსამართლე – რევაზ კაჭკაჭიშვილი**
**სხდომის მდივანი – ანა სამსონიძე**

**მოსარჩელე** – „თიბისი ბანკი“
**წარმომადგენელი** – კახაბერ ასლანიშვილი
**მოპასუხე** – შპს „საუკმშენი“, შპს „ბორჯომგზა“, ტარიელ ფერაძე,
**წარმომადგენელი** – დაუსწრებლად

**დავის საგანი** –
ს.ს. „თიბისი ბანკსა“ და შპს „საუკმშენს“ შორის 2006 წლის 15 ნოემბერს გაფორმებული №758082 საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებისა და მის ფარგლებში 2007 წლის 16 მარტს დადებული №758082-700561, 2007 წლის 24 მაისს გაფორმებული №758082-708361 და მასში 2007 წლის 21 ნოემბერს შეტანილი ცვლილებებისა და 758082-772437 საბანკო კრედიტის ხელშეკრულების დარღვევით კრედიტორის ს.ს. „თიბისი ბანკის“ მიმართ წარმოშობილი დავალიანება.

**საჩივრის ავტორი** – მოპასუხე – შპს „საუკმშენის“ დირექტორი – იორდანე ჭალიაშვილი,

**მოწინააღმდეგე მხარე** – მოსარჩელე – „თიბისი ბანკი“, წარმომადგენელი – კახაბერ ასლანიშვილი.

გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო 2010 წლის 29 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება ამავე საქმეზე.

განიხილა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

2010 წლის 29 იანვარს გამართულ მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდნენ მოპასუხეები, რის შედეგადაც გამოტანილი იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

2010 წლის 28 აპრილს მოპასუხე შპს „საუკმშენის“ დირექტორმა – იორდანე ჭალიაშვილმა შემოიტანა საჩივარი და აღნიშნავს სასამართლოს მთავარ სხდომაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის თაობაზე, კერძოდ აცხადებს, რომ შპს „საუკმშენს“ სასამართლო უწყება არ ჩაბარებია კანონით დადგენილი წესით და ითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას.

მოწინააღმდეგე „თიბისი ბანკის“ წარმომადგენელმა კახაბერ ასლანიშვილმა ითხოვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ გარემოების გამო, რომ მოპასუხე შპს „საუკმშენის“ დირექტორისათვის წინასწარ ცნობილი იყო სასამართლოს მთავარი სხდომის დღე და მისი გამოუცხადებლობა არასაპატიოა.

სასამართლომ განიხილა საჩივარი, მოუსმინა გამოცხადებულ მხარეს და მიაჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2010 წლის 29 იანვარს სასამართლოს მთავარი სხდომის ჩატარების თაობაზე დროულად ეცნობათ მხარეებს, მათ შორის მოპასუხე შპს „საუკმშენს“ – კერძოდ 2010 წლის 18 იანვარს გაგზავნილი სასამართლოს უწყების გზავნილი 2010 წლის 22 იანვარს მიტანილი იქნა მოპასუხის მისამართზე, მაგრამ მისმა წარმომადგენლობამ არ ჩაიბარა, რაზედაც საქმეში წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტი, გარდა აღნიშნულისა 2010 წლის 22 იანვარს პირადად შპს „საუკმშენის“ დირექტორ იორდანე ჭალიაშვილს ტელეფონით ესაუბრა და სხდომაზე სასამართლოში გამოცხადების უწყების შინაარსი გააცნო თანაშემწემ, რაზედაც შედგენილი იქნა მის მიერ შესაბამისი აქტი, რომელიც საქმეს თან ერთვის, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შპს „საუკმშენის“ დირექტორ იორდანე ჭალიაშვილს დროულად ეცნობა საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დრო და ადგილი და მისი გამოუცხადებლობა არაა გამოწვეული იმ საპატიო მიზეზით, თითქოს მას დროულად არ ეცნობა აღნიშნულის შესახებ, თუკი მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, მათ შესახებაც მას შეეძლო, თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსთვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო, თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსთვის. განსახილველ შემთხვევაში ასეთი საფუძვლები არ ყოფილა, რის გამოც დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ უნდა გაუქმდეს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით, თუ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჩივრის დაუკმაყოფილებლობისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 240-ე, 284-ე, 285-ე, 286-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. უარი ეთქვას მოპასუხე შპს „საუკმშენის“ დირექტორს იორდანე ჭალიაშვილს საჩივრის დაკმაყოფილებაზე და ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 29 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება 2-150 საქმეზე დარჩეს ძალაში;
2. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში სააპელაციო წესით მხარისათვის ასლის გადაცემიდან 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში ახალციხის რაიონული სასამართლოს მეშვეობით.

**მოსამართლე**
**რევაზ კაჭკაჭიშვილი**

◎ ავი პროგნოზი

# მეცნიერებას განაჩენი გამოუტანეს: მან არსებობა უნდა შეწყვიტოს!

(მესამე გვერდიდან)

ახლა მესამე, საბოლოო ეტაპია და ქართული მეცნიერების დასაფლავების დრო დადგა...

ყველაზე დიდი უბედურება კი ისაა, რომ ხალხის უმრავლესობას განათლების დარგში ჩატარებული რეფორმები მოსწონს! მინისტრი შაშკინი სწორედ იმით ამაყობს, რომ მოსახლეობის 70 პროცენტზე მეტი მხარს უჭერს იმას, რაც განათლების სისტემაში და მეცნიერებაში მოხდა. ესაა სწორედ ქვეყნის ყველაზე დიდი უბედურება: ახალგაზრდობას სწავლა და განათლება მხოლოდ დიპლომის მისაღებად სურს, ხოლო მათი ოცნება გადამთიელთა მომსახურება გახდა.

„მოგებული“ არჩევნების შემდეგ ჯერ ის მწირი სამეცნიერო ფონდიც გააუქმეს, რომელიც ავადმყოფ მეცნიერებას ჟანგბადივით სჭირდებოდა. სამაგიეროდ 4 მილიონი ლარი დაზოგეს და უხარიათ, რომ გაძვალტყავებულ ბიუჯეტს შეავსებენ. ამას დაემატა მოწოდება, რათა სამეცნიერო ინსტიტუტები უნივერსიტეტების შემადგენლობაში შესულიყვნენ სამეცნიერო ერთეულებად?!

თურმე ინსტიტუტები ნებაყოფლობით, საკუთარი თხოვნით უნდა შევიდნენ უნივერსიტეტებში შემდეგ ხელისუფლების მიმართ პრეტენზია რომ არ გაუჩნდეთ. იქ სიკვდილი არ იქნება ხმაურიანი, უმრავლესობას ასაკის გამო გაუშვებენ, დანარჩენებს კი კონკურსით მოიცილებენ...



გასაოცარია, ჯავახიშვილის უნივერსიტეტში 2005 წლის ერთი ბრძანებით მთელი სამეცნიერო სექტორი გაუქმდა და ყველა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია დაიხურა. 1500 მეცნიერ- თანამშრომელი ერთი ხელის მოსმით ქუჩაში გაყარეს და ახლა ახალ სამეცნიერო ერთეულებს ქმნიან? ვითომ ჭკუაზე მოვიდნენ?

სულაც არა. ამჟამად ინსტიტუტების გაუქმება მხოლოდ პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შეუძლიათ შესაბამისი ბრძანებულების გამოქვეყნებით. ეტყობა მათ არ აწყობთ მეცნიერების მთავარი მესაფლავეების როლის შესრულება და ეს როლი გამოცდილ მესაფლავეებს თევზაძეს, ხუბუას და სხვა რექტორებს გადაულოცეს. მათ კი იმდენად კარგად და ეფექტიანად გაანადგურეს უნივერსიტეტები, რომ ამ საქმესაც ადვილად მოუვლიან! დღეს მთავარი იმ შენობების გაყიდვაა, რომელიც ამ გასაწყალებულ მეცნიერებს უკავიათ.

მთავარი მესაფლავენი მაინც ჩვენი დღევანდელი და წინა ხელისუფლებაა. განაჩენი კი ამერიკის საელჩოდან მივიღეთ!

მაინც რას ჯიუტობენ ეს მეცნიერები, რომელთა საშუალო ხელფასი მეეზოვის ხელფასს სამჯერ ჩამორჩება? ვერ გაიგეს, რომ ისინი განვითარებად ქვეყანაში ზედმეტნი არიან? ყველას აკადემიკოს გურამ შარაძესავით ხომ არ ჩაცხრილავენ ქუჩაში?

ჩაცხრილავენ, თუ ასე გაჯიუტდნენ, რადგან გაუნათლებელ ხელისუფლებას არც განათლებული ხალხი სჭირდება, არც ნორმალური განათლების სისტემა და მით უმეტეს, მეცნიერება თავისი აკადემიებით!

ჩვენ ხომ ზამბიის დონის განვითარებადი ქვეყანა ვართ და მათხოვრის ხელი გაგვიწვდია გრანტებისა და დახმარებების მისაღებად. ქართველის სიამაყე ხომ კარგა ხანია გაითელა?

ჩვენი ხალხი მაინც თუ ხედავს ერის განადგურებას? ბოლო არჩევნებმაც დაგვიდასტურა, რომ ხალხის უმრავლესობა საკუთარი კუჭის პრობლემებითაა დაკავებული.

მაინც რითი შეგვიძლია ვიამაყოთ? მუსხელიშვილით თუ ბენდუქიძეებით? ბერიტაშვილით თუ შევარდნაძეებით?

ვითიც ვამაყობდით, ყველა გარდაცვლილია!

სამაგიეროდ, სააკაშვილი იამაყებს, რომ ამერიკელების განაჩენი სისრულეში მოიყვანა: მეცნიერება მოკლა და განათლება განადგურების პირას მიიყვანა!

მაინც გამოჩნდა ორიოდე სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელსაც არ სურს უნივერსიტეტებში სიკვდილი და სამეცნიერო ცენტრების შექმნა მოინდომეს მეცნიერების ეროვნულ აკადემიასთან.

ალბათ, არც ეროვნულ აკადემიას უწერია დიდი ხნის სიცოცხლე. როცა მეცნიერება გაქრება, აღარც აკადემია დარჩება თავისი აკადემიკოსებით.

განაჩენის სისრულეში მოყვანა შორს აღარ არის!

**მერაბ ჯიბლაძე,**
„ქართული აკადემია“, „თეთრები“.

◎ კავშირთა ურღვევობა

# „... რასაც ჩვენ ვფიქრობთ, იმათ უკვე შექმნეს...“

**სხვა ქვეყნებში დაბადებულ-გაზრდილ, შემდგომ კი აღთქმულ მიწაზე ან სხვაგან საცხოვრებლად წასულ ებრაელთა, ასე ვთქვათ, „პირველი სამშობლოსადმი“ სიყვარულის თაობაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ საქართველოს ალიას საქართველო მუდამ გულში რომ ჰყავს, ამის არაერთი მაგალითის პირადად მომსწრეც ვარ და, გარდა ამისა, ბევრიც მსმენია და წამიკითხავს.**

ერთი ასეთი თბილისში დაბადებული, მის წიაღში ახალგაზრდობაგამოვლილი ქალბატონი, ამჟამად ნიუ-იორკში მცხოვრები მხატვარი ცისანა ჯანაშვილია, ცნობილი ფერმწერის მიშა ჯანაშვილის ქალიშვილი.

ქალბატონი ცისანა უზადო ნიჭის პატრონი რომ არის, მის მიერ სამ ათეულ ქვეყანაში გამართული პერსონალური ვერნისაჟები თუ ჯგუფურ გამოფენაში მონაწილეობა მოწმობს, სადაც გამოფენილი ნამუშევრები მნახველის ყურადღებას, უწინარესად, რეალისტური ხედვისა და დანახულის მისტიკური აღქმის არაჩვეულებრივი სინთეზით იპყრობდა.



ქალბატონ ცისანა ჯანაშვილის შემოქმედებაშიც წამყვანი თემა ქართული მოტივებია, რაშიც რამდენიმე დღის წინათ ს.ს.ი.პ. — დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის თავკაცის, ცნობილი ქართველი ისტორიკოს-კავკასიოლოგის გივი ღამბაშიძის მიერ თავაზიანად მოწოდებული მუზეუმის შრომების VI ტომის წაკითხვისას დავრწმუნდი.

კერძოდ, ცოტა ხნის წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში ათწლიანი მოღვაწეობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა ცნობილმა ჟურნალისტმა და სპელეოლოგმა ჯუმბერ ჯიშკარიანმა ჩამოიტანა და, ავტორის სურვილისამებრ, ებრაელთა ისტორიის მუზეუმს ც.ჯანაშვილის ორიგინალური ფერწერული ტილოები გადასცა, მათ შორის დავით ბააზოვის, გერცელ ბააზოვის, არიელ შარონის, ალბერტ აინშტაინის, ჩარლი ჩაპლინის, ანა ფრანკის პორტრეტები, ასევე სურათი „ფიროსმანი და კობოშვილი“. გარდა ამისა, ბატონმა ჯიშკარიანმა მუზეუმს გადასცა ოთარ სეფიაშვილის, ვაჟა-ფშაველას, თამარ მეფის, არონ კრიხელის, ფლავიუსის, გიგლა ხუხაშვილის, ბიბლიური აბრამის, ბიბლიური სოლომონ ბრძენის, ჯემალ აჯიაშვილის, მიშა ჯანაშვილისა და შალომ კობოშვილის პორტრეტების რეპროდუქციები. ნამუშევრების სახელწოდებათა მარტივი ჩამონათვალითაც თვალნათლივ ჩანს, რომ საქართველოს თემატიკას ქალბატონ ცისანა ჯანაშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამაზე ლაპარაკით რომ არ გადაგღალოთ, პატივცემულო მკითხველო, წლეულს 5 მაისის ჩვენი გაზეთის ნომერში ჯუმბერ ჯიშკარიანის პუბლიკაციის „... სცენაზე, როგორც ზეცის მოვლენა...“ მცირედ ამონარიდს შემოგთავაზებთ: **„ცისანას სახელოსნოში თავი საქართველოში მეგონა, იმდენად ახლობელი, თბილი და მშობლიური გარემო დამხვდა. უკანასკნელ წლებში გამოჩენილ შემოქმედთა და საზოგადო მოღვაწეთა ასამდე პორტრეტი და ჩანახატი შეუქმნია...“**, — უთქვამს ავტორისთვის ჟურნალისტ ციცინო ჯერვალიძეს.

ქალბატონ ცისანა ჯანაშვილს ხატვის ნიჭი და საქართველოს სიყვარული მამისგან, ცნობილი მხატვრისგან მიშა ჯანაშვილისგან რომ აქვს მიღებული შთამომავლობით, ამას იმავე შრომების VI ტომში გერშონ ბენ-ორენის (წიწუაშვილის)ძ დიდებულ ესეში „სიტყვა მამა-შვილზე. მოგონება მიშა და ცისანა ჯანაშვილებზე — მხატვარ მამა-შვილზე“ წავიკითხე, სადაც ავტორი ბატონ მიშას შესახებ, კერძოდ, წერს: **„პორტრეტი მისი სტიქია იყო. არაერთი ნაწარმოები შექმნა ამ სფეროში“**. ხოლო როცა ბატონი გერშონ ბენ-ორენი ბატონ მიშა ჯანაშვილის საქართველოსადმი, კერძოდ კი თბილისისადმი სიყვარულს აღწერს, საამისოდ გასაოცარ სითბოსა და გულწრფელობას აფრქვევს: **„აღმართი (ხარფუხის — ო.ტ.) ავათავეთ, შეჩერდა და თბილისს გადახედა. აი, რა მაძლებინებს. მე რომ ყოველდღე ამ სანახაობას არ ვუყურებდე, რა მაცოცხლებდა. ისე როგორ გავა დღე თუ არა, კვირა მაინც, რომ ვიღაც უსახომ სული არ მოგიშხამოს. ამ სანახებს რომ გადავხედავ, ყველა წყენა და ბოღმა ღრუბელივით იფანტება... — შეყვარებული ხარ თბილისზე. — აბა, როგორ არ ვიქნები, როცა ამ საოცრებას ყოველდღე ვუყურებ. ბედმა რომ სადმე შორს გადამაგდოს, ჩემი მთავარი სახატავი ალბათ მაინც თბილისი იქნება. და თუ სხვა ქალაქს დავხატავ, ალბათ თბილისს ემგვანება. გარდა სილამაზისა, აქ სხვა გრძნობაც მეუფლება ხოლმე...“**

მკითხველს ბოდიშს კი ვუხდი ციტატების სიმრავლის გამო, მაგრამ, ვფიქრობ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ ბატონი ბენ-ორენი, კაცი, რომელიც ქალბატონ ცისანა ჯანაშვილს ბავშვობიდან იცნობს და მისი შემოქმედების გამორჩეული შემფასებელია, მის შესახებ სხვაზე უკეთ იმსჯელებს. ზემოთ ნახსენებ „სიტყვაში შვილზე“ იგი ასე ლაპარაკობს მის მხატვრობაზე: **„ცისანას ბევრი შესანიშნავი ნახატი ვიხილე ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე ამერიკაში გადასახლდებოდა ოჯახთან ერთად. მისი რამდენიმე ნაწარმოები ამშვენებს როგორც საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ასევე კერძო კოლექციებს... თავიდანვე შეიმჩნეოდა, რომ შვილი მამის კვალზე მიდიოდა. სერიოზულობა, ფერების სიმსუყე, რეალისტური მიდგომა როგორც შემოქმედებითი კრედო, ოპტიმიზმი, თემების მრავალფეროვნება, დახვეწილი გემოვნება და ოსტატობა ორივე ხელოვნის დამახასიათებელი თვისებებია.**

**... მამა-შვილის... შემოქმედებას ერთი გამხელილი საიდუმლო ახლავს თან: მიშა და ცისანა ჯანაშვილები ჩვენ ვართ, მათი შემოქმედების დამთვალიერებელნი, აღმქმელნი და გამზიარებელნი. განსხვავება ჩვენსა და მათ შორის ერთია: რასაც ჩვენ ვფიქრობთ, ვაზროვნებთ და ვოცნებობთ, მამა-შვილმა შექმნეს, ქმნიან და შექმნიან“.**

ახლახან კი ბატონმა ჯუმბერ ჯიშკარიანმა დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმს ქალბატონ ცისანა ჯანაშვილის კიდევ ერთი შესანიშნავი ნამუშევარი, „ვეფხისტყაოსნის“ კლასიკურ ებრაულ ენაზე დიდებული მთარგმნელის ბორის გაპონოვის (1934-1972 წ.წ.)ძ მაღალი ოსტატობით შესრულებული პორტრეტი აჩუქა. მეტად საინტერესოა თავად ბორის გაპონოვის პიროვნება: იგი ყირიმში დაიბადა, ქუთაისში 1946 წელს გადავიდა საცხოვრებლად ოჯახთან ერთად. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში განაგრძო, თუმცა სრული კურსის დასრულება უსახსრობამ შეუშალა. აღსანიშნავია, რომ შოთა რუსთაველის უკვდავ პოემის თარგმანზე ბორის გაპონოვი ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთის „ლენინელის“ ლიტმუშაკად მუშაობისას, ხუთი წლის მანძილზე შრომობდა და ეს თარგმანი უცხო ენაზე თარგმანთა შორის ერთ-ერთ საუკეთესოთა შორისაა აღიარებული.

ეჭვი არ არის, რომ ქალბატონ ცისანა ჯანაშვილის მიერ შესრულებული ბორის გაპონოვის პორტრეტი საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის ექსპოზიციაში ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს და ჩვენს ერებს შორის ძმობისა და მეგობრობის კიდევ ერთ სიმბოლოდ მოევლინება შთამომავლობას.

**ოთარ ტურაბელიძე**

### ჭადრაკი

# მთავარი პრიზი შანავას ერგო



**ფოთში მეხუთედ გაიმართა სახელოვანი ქართველი დიდოსტატის ნანა ალექსანდრიას სახელობის საჭადრაკო ფესტივალი, რომელშიც ოთხი ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ როგორც მთავარ, ისე ასაკობრივ ტურნირებში.**

უფროსებში სხვებზე უკეთ გაისარჯა კონსტანტინე შანავა, რომელმაც უშეღავათო პაექრობაში პირველი ადგილი დაიკავა და მთავარი პრიზიც დაიმსახურა. მეორე-მესამე ადგილებზე საქართველოს ნაკრების წევრი ლევან ფანცულაია და შოთა აზალაძე გავიდნენ.




დაძაბული და საინტერესო გამოდგა უმცროს მოჭადრაკეთა ორთაბრძოლებიც. ასაკების მიხედვით ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ: **8-წლიანებში** – სამტრედიელი თიკა ცაგურია და ქუთაისელი დავით კამკია, **10-წლიანებში** – ნინო ჯალაღონია და დავით გვენეტაძე (ორივე – ქუთაისიძ, **12-წლიანებში** – თბილისელები ნინო ხომერიკი და გიორგი სიბაშვილი; **14-წლიანებში** – ანა შამათავა და ირაკლი ბერაძე (თბილისიძ.

---

# „ბრინჯაოთი" დაკმაყოფილდა

**საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი მერაბ გაგუნაშვილი ტორონტოში მოჭადრაკეთა კანადის 47-ე ღია ჩემპიონატში მონაწილეობდა, ცხრა შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა და სხვა მოჭადრაკეებთან ერთად მესამე-მეექვსე ადგილები გაიყო.** უკეთესი კოეფიციენტით ქართველ დიდოსტატს „ბრინჯაო" ხვდა. 8 ქულით პირველ ადგილზე ინგლისელი ლიუკ მაკშეინი გავიდა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით კანადელი ნიკოლაი ნორიცინი ჩამორჩა.

**გიორგი გაგუა**

---

# ლიდერობს მამედიაროვი



**გუშინ გაცნობეთ, რომ საჭადრაკო სუპერტურნირზე, რომელიც გერმანულ დორტმუნდში მიმდინარეობს, სამი ტურის შემდეგ 2,5-2,5 ქულით ლიდერობდნენ ბაქოელი შახრიარ მამედიაროვი და უკრაინელი რუსლან პონომარიოვი.**

გაიმართა კიდევ ერთი ტური – მამედიაროვმა თეთრებით ყაიმს მიაღწია კრამნიკთან, ხოლო პონომარიოვი იძულებული გახდა, თავი დამარცხებულად ეცნო ვიეტნამელ კუანგ ლეიმ ლესთან. დაზავდნენ ნაიდიჩი და ლეკო.

4 ტურის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა: მამედიაროვი – 3 ქულა, პონომარიოვი – 2,5, კუანგ ლეიმ ლე – 2, კრამნიკი, ლეკო, ნაიდიჩი – 1,5-1,5.

გუშინ ტურნირის მონაწილენი ისვენებდნენ.

### კალათბურთი

# ორი მარცხი მზადების სტარტზე



**საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები წლევანდელი ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას შეუდგა იგორ კოკოშკოვის ხელმძღვანელობით. ავსტრიაში ერთკვირიანი შეკრების შემდეგ ჩვენი გუნდი უნგრეთს დაუპირისპირდა და 72:80 დამარცხდა.** მეორე მატჩი ქართველმა კალათბურთელებმა სლოვაკებთან გამართეს. ოფიციალურ მატჩებში ისინი 2008-2009 წლებში შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ ჯვაროსნებმა 101:87 და 90:41 იმარჯვეს. ამჯერად, სლავებმა რევანში აიღეს – 80:72. საქართველოს ნაკრები 23-25 ივლისს თბილისში გამოცდის ძალებს ოთხთა ტურნირში, რომელსაც სპორტის სასახლე უმასპინძლებს. მისი მეტოქენი რუმინეთი, ბელარუსი და უკრაინა იქნება.

### სუმო

# ზღვარზე




**ნაგოიას ბაშოში საქართველოს სამი წარმომადგენელი მონაწილეობს. სამწუხაროდ, მათ 9 ტურის შემდეგ უარყოფითი ბალანსი აქვთ. ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინიძ ბოლო ტურში ბელგიელი კოტოოშუ დაამარცხა და კომუსუბის ტიტულით მესამე გამარჯვება იზეიმა ექვსი წაგების წილ.**

ლევან ცაგურიამ კარგად დაიწყო შეჯიბრება, მაგრამ ზედიზედ ოთხი წაგების შემდეგ ბალანსი 4-5 გაუხდა. მსგავს სიტუაციაშია თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუძ, რომელიც უმაღლეს დივიზიონში პირველად აღზევდა. დარჩენილი 6 ტურიდან გორგაძეს ერთი, ხოლო ცაგურიას და ჯუღელს მხოლოდ ორ-ორი მარცხის უფლება შერჩათ.

**ლექსო ცინცაძე**

### ფეხბურთი

# თქვენთვის, გულშემატკივრებო!



**ამას წინათ ფეხბურთელთა XXII ეროვნული ჩემპიონატის I ტურის მატჩების განრიგი შემოგთავაზეთ და იქვე დავუმატეთ, რომ, როგორც კი პროფლიგა მთელი ტურნირის სრული კალენდრის პროექტს დაამტკიცებდა, მასაც ოპერატიულად გაგაცნობდით.**

დღეს დანაპირებს ვასრულებთ და, ვიმედოვნებთ, უმაღლეს ლიგაში მისი ძველი, ტრადიციული ბინადრების – ფოთის „კოლხეთისა" და ქუთაისის „ტორპედოს" დაბრუნება სხვებისთვისაც მისაბაძი მაგალითი გახდება სამომავლოდ, ამ სხვებში კი, უპირველესად, ლანჩხუთის „გურიასა" და ბათუმის „დინამოს" ვგულისხმობთ, მით უმეტეს, აჭარის დედაქალაქში ახალი სტადიონის მშენებლობა დაიწყო, სადაც, დარწმუნებული ვართ, არაერთი საინტერესო შეხვედრა გაიმართება.

რაც შეეხება დამდეგი მარათონის ფავორიტებს, ვფიქრობთ, წლეულსაც ის კვარტეტი გასწევს ლიდერთა ჭაპანს, რომლებიც ევროტურნირებში თამაშით სეზონში ადრეულად ჩაებნენ (რუსთავის „ოლიმპი", თბილისის „დინამო", „ზესტაფონი" და დედაქალაქის „ვიტ ჯორჯია", რომელმაც უკვე მოასწრო საერთაშორისო სარბიელზე კიდევ ერთხელ შერცხვენაძ. მოხარული ვიქნებით, თუ რომელიმე კლუბი სიურპრიზს „გამოაცხობს", თუმცა, ამით, ალბათ, საერთო სურათს არაფერი ეშველება – ქართული ფეხბურთი კრიზისშია!



### ინტერნეტიდან

## ინსპექტირება დაიწყო




**ფიფამ იაპონიიდან დაიწყო იმ ქვეყნების ინსპექტირება, ვინც პრეტენზიას აცხადებს 2018 და 2022 წლებში ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაზე. ის ორ თვეს გაგრძელდება. ინსპექტორთა ჯგუფს ხელმძღვანელობს ჩილეს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჰაროლდ მაინ-ნიკოლსი.**

თითოეულ ქვეყანაში ინსპექტორები დარჩებიან სამ დღეს.

შეგახსენებთ, რომ 2018 წელს მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაზე უფლების მოპოვებას ცდილობენ ინგლისი, რუსეთი, აშშ, ერთობლივი განაცხადი შეიტანეს ნიდერლანდებმა და ბელგიამ, აგრეთვე ესპანეთმა და პორტუგალიამ.

2022 წელს კი მსოფლიო ფეხბურთის დათვალიერების მიღება უნდათ ავსტრალიას, ყატარს, აშშ-ს, იაპონიასა და სამხრეთ კორეას.

## ლამაზმანი გზას დაულოცავს

**გასული საფეხბურთო სეზონის შედეგების მიხედვით რუმინეთის უმაღლეს ლიგაში ალზევდა გუნდი „ტარგუ მურეში". გულშემატკივართა წინაშე მის წარდგენაში მონაწილეობას მიიღებს ცნობილი რუმინელი ფოტომოდელი, „პლეიბოისთვის" უკვე რომ გადაიღეს – დანიელა კრუდუ.**

„ტარგუ მურეში" ახალგაზრდა გუნდია, ის ორი წლის წინათ შეიქმნა, მაგრამ უკვე მიიზიდა გულშემატკივართა ყურადღება. პრეზენტაცია გაიმართება საზაფხულო თეატრში. ის დასრულდება „რუმინეთის დედოფლის" არჩევნების ფინალური კონკურსით, იქ გამარჯვებული კი – პრაღაში მსოფლიო ლამაზმანის კონკურსში მიიღებს მონაწილეობას. ამ კონკურსების ერთ-ერთი წამყვანი დანიელა კრუდუც იქნება.



ჩვენი კარაბადინი

# ბრონქული ასთმა: უსაფრთხოების ტექნიკა



**ბრონქული ასთმა მძიმე დაავადებაა. მაგრამ თანამედროვე წამლებისა და ცხოვრების სწორი წესის წყალობით შეიძლება მივაღწიოთ იმას, რომ სულის შეხუთვის შეტევები ხდებოდეს რაც შეიძლება იშვიათად.**

**თუ როგორ უნდა ვქნათ ეს — გვიამბობს ალერგოლოგი-იმუნოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ი.ი.მეჩნიკოვის სახელობის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკური ალერგოლოგიის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ანდრეი სერგეევი.**

### ჩემი სახლი — ჩემი ციხე-სიმაგრე

**ბრონქული ასთმა — ეს არის ბრონქების ანთებითი დაავადება, რომელიც ვითარდება ჰაერიდან ორგანიზმში მოხვედრილ ალერგენებთან კონტაქტის დროს. ხუთვის მიზეზი ყველაზე მეტად ოჯახური მტვერის ტკიპები, ცხოველების ბეწვი, მცენარეთა მტვერი და ობიანი სოკოს სპორებია. ამიტომ ბრონქული ასთმით დაავადებულებმა მაქსიმალურად უნდა შეზღუდონ კონტაქტები ამ ალერგენებთან.**

დავიწყოთ ბინიდან. ბინაში არ უნდა იყოს მტვერის მიმზიდველი საგნები: სქელი ფარდები, ხალიჩები, რბილი სათამაშოები, წიგნები შეუმინავ თაროებზე. სამწუხაროდ, მყუდრო საძინებელი ოთახი ფუმფულებითა და ბალიშებით — მიუღებელი ვარიანტია იმ ადამიანებისთვის, ვისაც ბრონქული ასთმა აწუხებს. მათ უფრო მოუხდებათ სპარტანული პირობები: ლინოლეუმით ან ლამინატით დაფარული იატაკი და რკინის საწოლი. დიახ, არ არის ფუფუნება, მაგრამ უზრუნველყოფს ჯანმრთელობას.

ბალიში და საბანი აუცილებლად უნდა იყოს სინთეტიკური, ისინი რეგულარულად უნდა ირეცხებოდეს არანაკლებ 60 გრადუსის ტემპერატურაზე, ზამთარში კი უნდა გამოვიტანოთ ყინვაში. ბამბის, შალის და გერმის ლოგინი, ჯერ ერთი, თავადაც შეიძლება იყოს ალერგენების წყარო, მეორეც, მათში ხშირად გროვდება ოთახის მტვერი. ისინი იკვებებიან მშრალი ეპითელიით, და არა მხოლოდ ადამიანისა, არამედ ძაღლის, კატის ეპითელიით, ასე რომ, საშინაო ცხოველები რისკის დამატებითი ფაქტორია იმისგან დამოუკიდებლად, აქვს თუ არა ავადმყოფს ალერგია ბეწვზე.

მსოფლიოში ალერგიით დაავადებულებისთვის საქონლის მთელი ინდუსტრიაა, არის სპეციალიზებული მაღაზიები, სადაც შეიძლება იყიდო აკარიციდები (ტკიპებთან ბრძოლის პრეპარატები) — ამ საშუალებებს უმატებენ ფხვნილს რეცხვის, შენობის დასუფთავების დროს. არის ალერგიის საწინააღმდეგო შალითებიც ავეჯისა და ბალიშებისთვის, მტვერსასრუტები სპეციალური ფილტრებით, რომლებიც იჭერენ ტკიპის ალერგენებს (ისინი ისეთი მიკროსკოპული ოდენობისა არიან, რომ ჩვეულებრივი მტვერსასრუტები მათ ვერ ისრუტავენ). ასევე თვალყური უნდა ვადევნოთ სინოტივეს ბინაში — ის რომ იყოს დაახლოებით 50 პროცენტი. ტკიპებს უყვართ, როცა სინესტეა და სითბო, ამიტომ მათი აქტიურობა მაქსიმალურია გათბობის სეზონის დასაწყისში და ბოლოს. მაგრამ არც ჰაერის „გადამშრალებაა“ საჭირო: დაბალი ტენიანობის დროს სასუნთქი გზები ადვილად გამტარია ყველა ალერგენისთვის.

### ფლორა და ფაუნა

**სახლში ცხოველების ყოფნა შეიძლება ასთმის შეტევების „პროვოკატორი“ იყოს. ბევრს იმედი აქვს, რომ დროთა განმავლობაში „შეეჩვევიან“ და აღარ მოახდენენ რეაგირებას ცხოველებზე. სამწუხაროდ, ეს ნაკლებად სავარაუდოა. თუ ადამიანი რეაგირებას ახდენს ძაღლის ან კატის ბეწვზე, ეპითელიებზე ან დორბლზე, პროფილაქტიკის ერთადერთი საიმედო ხერხია — გამოირიცხოს კონტაქტები ამ ალერგენებთან. თანაც საკმარისი როდია ამ შემთხვევაში ცხოველის გაცემა-გასაჩუქრება — შემდეგ ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია, უნდა წავილოთ ქიმწმენდაში, მთელი ბინა კარგად გავრეცხოთ-გავასუფთაოთ. მაგალითად, კატის ალერგენები მეტად მყარია, შეიძლება შენარჩუნდეს ბინაში ორ (!!!) წლამდეც კი.**

**არ ღირს საძინებელ ოთახში ქონა აკვარიუმისა და... საოჯახო მცენარეებისაც კი.**

კარგია, როდესაც ბინა კარგად ნიავდება, მაგრამ ხეებისა და ბალახების ყვავილობის სეზონში მტვერი ფანჯრიდან შეიძლება შევიდეს ბინაში და გახდეს საოჯახო მტვერის კომპონენტი, განსაკუთრებით თუ ბინა ქვედა სართულებზეა. ეს სახიფათოა იმ ავადმყოფებისთვის, ვინც მტვერზე ახდენს რეაგირებას.

საერთოდ, ყვავილობის სეზონი ასთმით დაავადებულთა სერიოზული გამოცდაა. ხეები მტვერს გამოყოფენ აპრილ-მაისში, ბალახი — ივნის-ივლისში, სარეველა ბალახი — აგვისტო-სექტემბერში. მტვერს სულაც არ უჭირს გაიფრინოს ათეულობით, ზოგჯერ კი ასეულობით კილომეტრიც. მისი კონცენტრაცია ჰაერში განსაკუთრებით მაღალია დილის საათებში, მშრალ ქარიან ამინდში, ჭექა-ქუხილის წინ კი ის შეიძლება გაიზარდოს 12-ჯერაც კი!

ასე რომ, თუ არის შესაძლებლობა, შვებულება დაამთხვიოთ ყვავილობის პიკს, სჯობია გაემგზავროთ. ამავე დროს აუცილებელია შევცვალოთ კლიმატური ზონა, და არა მხოლოდ გავემგზავროთ 100-200 კილომეტრის იქით.

### სხვათა შორის

**იმათ, ვისაც ასთმა აწუხებს, არ არის აუცილებელი დაიცვან რაიმე განსაკუთრებული დიეტა, თუ არ აქვთ საკვების მიმართ ალერგია. უბრალოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ იკვებონ გონივრულად, არ გამოძღენ, რათა ასთმას არ დაემატოს ჭარბი სიმსუქნეც.**

### იქონიეთ მხედველობაში

**ქალაქში მცენარეთა მტვერი უფრო აგრესიულია, ვიდრე ქალაქგარეთ. მეგაპოლისის პირობებში მას უერთდებიან საწვავის წვის პროდუქტები და სხვა მავნე მიკრონაწილები. ისინი უადვილებენ მტვერს ლორწოვან გარსში შეღწევას და ზრდიან მის ალერგენობას.**

### დიდი ქალაქის საშიშროებანი

**პერიოდულად მთებში ან ზღვაზე გამგზავრება მნიშვნელოვანია ფილტვების ჟანგბადით გამდიდრებისთვისაც, შეტევების პროფილაქტიკისთვისაც. 2-კვირიანი შვებულებაც კი სასარგებლოა. მხოლოდ უნდა ვერიდოთ ტემპერატურის მკვეთრ ცვლილებებს — საჭირო არაა „მინუს 30-დან პლუს 30-მდე“ და არ არის სასურველი, რომ კლიმატი კურორტზე იყოს ნამეტანი ნესტიანი (ტროპიკული ან სუბტროპიკული) ან ნამეტანი მშრალი.**

რომ არ მოვახდინოთ ხუთვის შეტევების პროვოცირება, არ უნდა მოვადუნოთ ყურადღება. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ყოველთვის ფხიზლად იყვნენ მეგაპოლისების მცხოვრებლები, რომლებშიც მუდმივად ჩაისუნთქავენ დიდი ქალაქის „სიცოცხლისუნარიანობის პროდუქტებს“ — გამონაბოლქვ გაზებს. ამ ნივთიერებებს თავად შეუძლიათ გამოიწვიონ ალერგიული რეაქციები და თანაც, ნერწყვოვან გარსზე ზემოქმედებით, აზიანებენ მას და ხდიან უფრო იოლად გამჭვირვალეს ალერგენებისთვის. ბევრ ასთმით დაავადებულს უჩნდება ბრონქების — ესე იგი სპაზმების არასპეციფიკური რეაქტიულობა, ხუთვა არაალერგიული გამღიზიანებლების პასუხად. ასე რომ, თუ, მაგალითად, თქვენს სადარბაზოში წამოიწყეს რემონტი, ამ დროს უკეთესია სადმე გაემგზავროთ, რომ არ მოახდინოთ შეტევის პროვოცირება, თუმცა თავად საღებავი შეიძლება არც იყოს თქვენთვის ალერგენი.

ჩამოყალიბებული სტერეოტიპების საპირისპიროდ, ბრონქული ასთმის დროს სპორტული მეცადინეობანი არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ მეტად სასარგებლოც! ცურვა აუზში, მძლეოსნობა, ველოსიპედით სიარული — ეს ყველაფერი ხელს უწყობს სასუნთქი კუნთების განვითარებას. მეცადინეობა აუცილებელია კვირაში ორჯერ მაინც. და, რასაკვირველია, ყურადღება უნდა მივაქციოთ ვარჯიშების ადგილს: მეცადინეობას პატარა მტვრიან სპორტულ დარბაზში ან ქუჩაში ყვავილების დროს შეიძლება უკუ ეფექტი ჰქონდეს.

### გადამრჩენი ბალონი

**ბრონქული ასთმის შეტევების პროფილაქტიკის ფორმულაა — „ცხოვრების სწორი წესი პლუს ადეკვატური სამკურნალო თერაპია“.**

**თუ დაავადება მსუბუქ ფორმაში მიმდინარეობს, სპეციალური მუდმივი მკურნალობა საჭირო არ არის, საჭიროების შემთხვევაში საკმარისია გამოვიყენოთ ბრონქების გამაფართოებელი პრეპარატები პატარა ბალონებში ინჰალაციისთვის.**

საშუალო და მძიმე ფორმის დროს იყენებენ წამლებს, რომლებიც არა მხოლოდ აფართოებენ ბრონქებს, არამედ მათ აქვთ ანთების საწინააღმდეგო მოქმედებაც, ვინაიდან ასთმის შეტევების განვითარებას საფუძვლად უდევს ყოველთვის ალერგიული ანთება. ეს პრეპარატები უნდა გამოვიყენოთ რეგულარულად და ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ზოგჯერ წლობითაც, მაგრამ სამაგიეროდ მათი დახმარებით შეიძლება მივაღწიოთ სრულ კონტროლს დაავადების სიმპტომებზე, გავაკეთოთ ისე, რომ შეტევები წარმოიქმნას მეტად იშვიათად. ჩვეულებრივად მუდმივი თერაპიის სახით უნიშნავენ ჰორმონალურ ინჰალატორებს. ასეთი პრეპარატების არ უნდა გვეშინოდეს. სწორი გამოყენების შემთხვევაში სტეროიდები ყველაზე ეფექტიანი წამალია და არ იწვევს გამოხატულ გვერდით მოვლენებს.

მკურნალობის მეორე მეთოდია — სპეციფიკური იმუნოთერაპია. ავლენენ ალერგენების ყველაზე მნიშვნელოვან ჯგუფებს, რომლებიც იწვევენ გამწვავების პროვოცირებას, და ისინი შეჰყავთ კანქვეშ ანდა წვეთების სახით ენის ქვეშ, ძალიან პატარა დოზებით დაწყებული. ასე ცდილობენ „მოატყუონ“ იმუნური სისტემა. ამ მეთოდს იყენებენ 5 წელზე უფროს ავადმყოფებთან დაავადების სტაბილური, არამძიმე მდგომარეობის დროს და როდესაც არის შესაძლებლობა — ამოირჩიონ რომელიმე ყველაზე მნიშვნელოვანი ალერგენი.

თუ, თერაპიის მიუხედავად, ასთმის გამწვავება ხდება ხშირად და ძნელია მათი კუპირება — მაშასადამე, მკურნალობა არასწორადაა შერჩეული.

**მარია ბლინოვა**

ЗДОРОВЬЕ

## ხსოვნა

# თეიმურაზ დავითაშვილი



ჩვენგან წავიდა საავტომობილო ტრანსპორტის დარგის უკანასკნელი მოჰიკანი, საავტომობილო ტრანსპორტის ყოფილი მინისტრი თეიმურაზ დავითაშვილი.

თეიმურაზ დავითაშვილი დაიბადა 1919 წლის 19 აპრილს ქ. ქუთაისში მოსამსახურის ოჯახში.

1936 წელს წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო 1941 წელს — თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტი, ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით.

ბატონმა თ. დავითაშვილმა გაიარა შრომითი საქმიანობის დიდი გზა თბილისის ჩარხმშენებელი ქარხნის ტექნიკური სამსახურის კონტროლიორიდან — მინისტრამდე.

საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრად იგი დაინიშნა 1952 წლის დეკემბერში, სადაც იმუშავა 1988 წლის დეკემბრამდე.

მისი მინისტრად მუშაობის დაწყებისას საქართველოში იყო მხოლოდ ერთი ავტოსატრანსპორტო საწარმო, რომელშიც სულ რაღაც რამდენიმე ერთეული სატვირთო ავტომობილი და ავტობუსი ირიცხებოდა, ხოლო ტვირთების დიდი ნაწილი გადაჰქონდათ საცხენოსნო ტრანსპორტით.

მისი 36 წლის მინისტრობის პერიოდში რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში ამოქმედდა 200-ზე მეტი ავტოსატრანსპორტო საწარმო, ავტოსარემონტო ქარხანა და დარგის სხვა თანმხლები ობიექტი. დარგში მომუშავე მუშაკთა რაოდენობა, მისი თანამდებობიდან წასვლისას შეადგენდა 75 ათასზე მეტ მუშაკს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბატონი თეიმურაზის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა — იგი იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შეუცვლელი თავმჯდომარე.

ბატონ თეიმურაზს დიდი წვლილი მიუძღვის საავტომობილო დარგის პროფესიონალ ხელმძღვანელ მუშაკთა პლეადის აღზრდაში. ის იყო პრინციპული, მომთხოვნი, მაგრამ ყოველთვის სამართლიანი ხელმძღვანელი, რომელიც მაგალითი იყო დარგის ყველა მუშაკისთვის.

ბატონი თეიმურაზი იყო უბრალო, კომუნიკაბელური ხელმძღვანელი განურჩევლად მძღოლის, მუშის, ინჟინრის თუ ხელმძღვანელი მუშაკის მიმართ. ამიტომაც იგი სარგებლობდა დიდი ავტორიტეტითა და უბრალო მოქალაქეობრივი პატივისცემით როგორც საავტომობილო ტრანსპორტის, ასევე სხვა მომიჯნავე დარგებში.

ბატონი თეიმურაზი იყო სამაგალითო ოჯახის თავკაცი, კარგი მეუღლე, მამა და ბაბუა.

ჩვენს ქვეყანას დააკლდა ერთი ერუდირებული, ღვაწლმოსილი, უბრალო და სათნო ადამიანი, რომლის ხსოვნაც დიდხანს იქნება მის მეგობრებში, კოლეგებში, აღზრდილებში და ყველას გულში, ვისაც მასთან ჰქონია ურთიერთობა.

საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემის თანამშრომლები

---

საქართველოს საერთაშორისო გადამზიდავთა ასოციაცია „GIRCA“ და სატრანსპორტო კომპანია „ინსტრა“-ს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს ტრანსპორტის დამსახურებული და ღვაწლმოსილი მუშაკი, მრავალი თაობის აღმზრდელი, ყოფილი ტრანსპორტის მინისტრი

თეიმურაზ დავითაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ალექსანდრე ჩხეიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ტრანსპორტის ღვაწლმოსილი მუშაკი, შესანიშნავი ადამიანი

თეიმურაზ დავითაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ კოლეგასა და მეგობარს გია პლატონიშვილს ბიძის

იური მიქაუტაძის

გარდაცვალების გამო.

---

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს მთის მოყვარულთა კავშირი“ მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კავშირის უხუცესი წევრი, ცნობილი ისტორიკოსი, სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, დიდებული მთამსვლელი, სპორტის ოსტატი

შოთა ჩართოლანი

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და ახლობლებს.

---

გოგი თავხელიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება

თამაზ მაჭავარიანის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ნათესავებს.

ცნობარი

# სად გინდათ, რომ დარეკოთ?

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 36-40-11; 36-50-11; 422-422; 91-37-51; 91-37-52.
2. აეროპორტში დახვედრა-გაცილება 18-22-44; 899 33-33-53.
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 34-26-92.
4. ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი 37-69-50; 45-45-33.
5. ავტომანქანების გაქირავება 895-33-21-00.
6. ამინდის ბიურო 43-95-31; 45-95-32.
7. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 31-04-21.
8. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 99-66-04.
9. გაზი გამოძახებით 008; 92-32-46; 92-10-08.
10. შპს „აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“ 53-06-32.
11. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 40-52-22.
12. გაზის საავარიო (ქალაქის) 04; 74-86-27, 74-89-04 (საავარიო);
38-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო).
13. ჯანდაცვის სამინისტრო 94-34-98 (ცხელი ხაზი); 94-49-11.
14. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 20-62-32.
15. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 21-21-84; 21-21-94.
16. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ინტერნეტით 50-60-06.

## ყველა ზარი ხელსაწყოსთვის — ყველა ზარი ხელსატაცად

17. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 99-10-58.
18. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 25-52; 25-52-11.
19. „თელასის“ ცხელი ხაზი 77-99-99; 27-44-11.
20. შპს „იმუნიზაციის ცენტრი“ 31-22-78.
21. იუსტიციის სამინისტრო 40-52-02.
22. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება რეფერალური პროგრამით მხოლოდ სტაციონარებიდან 53-11-73; 877 45-20-01.
23. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია 38-61-40 (პრესსამსახური); 31-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი).
24. კონტროლის პალატა 43-81-81 (ცხელი ხაზი); 43-81-78 (კანცელარია).
25. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 93-11-11.
26. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 43-11-00.
27. მერიის ცხელი ხაზი 72-22-22.
28. მერიის ცხელი ხაზი — ცხოველებისგან დაზარალებულთა დახმარება 54-04-43.
29. მერიის სამოქალაქო მონაწილეობის და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური 37-81-44; 37-81-53.
30. ნავთლუღის ავტოსადგური 74-83-03; 74-63-23.
31. სახალხო დამცველი 99-58-98; 92-24-79; 92-31-66.
32. რკინიგზის სადგური 56-35-66; 56-47-60.
33. სახანძრო-სამაშველო ოპერატიული სამსახური 01, 011, 75-20-85; 41-17-71; 41-17-72.
34. საპატრულო პოლიცია 022.
35. „სასწრაფო სამედიცინო დახმარება 033“; 03; 54-70-04; 54-70-03.
36. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 478-478; 871 478-478.
37. საქართველოს მთავრობის კანცელარია 92-26-87 (მისაღები).
38. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 28-47-47; 28-48-22; 28-48-93; 28-48-96 (ცხელი ხაზი).
39. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების ცენტრი 077.
40. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 22-67-22; 10-30-50; 899 57-64-12.
41. სოფლის მეურნეობის სამინისტროს გენინსპექციის ცხელი ხაზი 37-80-50.
42. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 61-30-90; 61-30-21.
43. საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების გატანა 45-20-23.
44. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 25-22-72 (ადმინისტრაცია); 25-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა).
45. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის, მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 53-09-67.
46. ტაქსი გამოძახებით 93-91-00.
47. ტრეფიკინგის მსხვერპლთა და უცხოეთში წამსვლელთა ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება 100-229.
48. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 51-70-34; 41-10-68 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება).
49. ფინანსთა სამინისტრო 26-14-12; 26-14-10 (კანცელარია); 26-24-09.
50. ფინანსთა სამინისტროს სატელეფონო ცენტრი, საგადასახადო კონსულტაციები 007.
51. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 895 24-77-77.
52. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 25-01-45; 22-54-17.
53. „ყაზტრანსგაზი“ 20-04-04 (გაზიფიცირების სამსახური).
54. „ყაზტრანსგაზის“ საინფორმაციო 31-04-04.
55. „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ 93-14-28; 877 71-17-20.
56. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 98-39-43; 99-53-50.
57. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 41-40-63; 41-42-63.
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 74-62-67.
59. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 75-34-33.
60. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 39-95-08 (რეგისტრატურა).
62. წყალკანალის ექსპლუატაციის სამსახური 48-72-88 (უფროსი მორიგე).
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 93-11-11.

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

ანეკდოტები

დათვური სამსახური — ეს ის შემთხვევაა, როდესაც საჭიროა სამუშაო ადგილები, კარგი განათლება და სამედიცინო მომსახურება, მათ ნაცვლად კი გთავაზობენ შადრევნებსა და შუშის ხიდებს.

* * *

ავტობუსის გაჩერებაზე ლამაზი ახალგაზრდა ქალი დგას, რომელსაც უცებ ძლიერმა ქარმა კაბის კალთები აუფრიალა და ლამის თავზე წამოაცვა. ქალმა ელვისებური მოძრაობით გაისწორა კაბა და დაინახა პატარა ბიჭუნა, რომელიც მას ინტერესით უყურებდა.



— რას იტყვი, როგორი რეაქცია მაქვს? — ეკითხება მას ქალი.
— ისე რა, არა უშავს, ოღონდ ჩვენ, ბიჭები, ამას სულ სხვა სახელს ვუწოდებთ.

* * *

კრიზისი განქორწინებაზე უარესია. ნახევარი ქონება უკვე არა გაქვს, ცოლი კი კვლავ შენთანაა.

* * *

— რამდენჯერ უნდა გითხრა, ასანთით ნუ თამაშობ-მეთქი, — უწყრება მამა ხუთი წლის ბიჭს.
— მამი, არ ვთამაშობდი, სიგარეტს ვუკიდებდი.

დღის კალენდარი

21 ივლისი

ხსენება წმიდა მოწამე მირდატ მეფისა (410); წმ. დიდმოწამე პროკოფისა (303); გამოცხადება ყაზანის ღვთისმშობლის ხატისა (1579).



ამოდის 04.44
ჩადის 19.30



ამოდის 16.00
ჩადის 00.18

## დაიბადნენ:

**356 (ძ. წ.) — ალექსანდრე მაკედონელი,** მაკედონიის მეფე (ძ. წ. 336 — 323), დიდი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე.
**1816 — პაულ იულიუს როიტერი,** ინგლისური მსხვილი საინფორმაციო სააგენტოს — „როიტერის“ დამაარსებელი. გარდაიცვალა 1899 წელს.
**1893 — ჰანს ფალადა,** გერმანელი მწერალი. გარდაიცვალა 1947 წელს.
**1894 — პიოტრ კაპიცა,** რუსი მეცნიერი, ფიზიკოსი. გარდაიცვალა 1984 წელს.
**1899 — ერნესტ ჰემინგუეი,** ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1961 წელს.
**1933 — ჯონ გარდნერი,** ამერიკელი მწერალი და ლიტერატურათმცოდნე.
**1934 — გურამ გეგეშიძე,** მწერალი.
**1938 — ნანი ბრეგვაძე,** ცნობილი მომღერალი.

## გარდაიცვალნენ:

**1792 — დავით გურამიშვილი,** დიდი ქართველი პოეტი.
**1796 — რობერტ ბერნსი,** შოტლანდიელი პოეტი.
**1962 — ჯორჯ თრეველიანი,** გამოჩენილი ბრიტანელი ისტორიკოსი.

## მოვლენები:

**365 წელი** — ალექსანდრიაში მოხდა მიწისძვრა. დაიღუპა 50 ათასი ადამიანი.
**1774 წელი** — დამთავრდა რუსეთ-თურქეთის ომი.
**1796 წელი** — პირამიდებთან ბრძოლისას გენერალმა ნაპოლეონმა მამლუქთა 60-ათასიანი არმია დაამარცხა და რამდენიმე დღის შემდეგ კაიროში შევიდა.
**1906 წელი** — გარეკეს რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბირო.
**1917 წელი** — თავად ლვოვის გადადგომის შემდეგ, რუსეთის დროებითი მთავრობის პრემიერი გახდა კერენსკი.
**1975-1976 წლები** — მერისაიდში (აშშ) მცხოვრები ორი ძმა 1 წლის ინტერვალით ერთსა და იმავე დღეს, ერთსა და იმავე ქუჩაზე დაიღუპა. მათ დაარტყა ერთმა და იმავე მანქანამ, რომელზეც იგივე მძღოლი იჯდა და იგივე მგზავრი მიყავდა.
**1983 წელი** — საბჭოთა ანტარქტიკულ სადგურ „ვოსტოკზე“ დაფიქსირდა ყველაზე დაბალი ტემპერატურა მთელ პლანეტაზე - 89,2.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**გუამი** — თავისუფლების დღე.
**ბელგია** — მეფის დღე.

მედიანიუსი

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.